რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 21 თებერვალი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დღის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 42 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 42

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) უცვლელ მდგომარეობაში დარჩება,
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".
ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებთ.

ქ. ალექსანდროპოლის სოც.-დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაცია ულრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს მუშათა კლასის დაუღალავ მებრძოლის ამხ.

**ევგენი მიხეილის ძე ასრიბეკოვის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 14 თებერვალს ს. მოლამუსას ახლო ალექსანდროპოლის რაიონში. დაკრძალვა მოხდება 22 თებერვალს ქ. ალექსანდროპოლში. მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან დღის 12 საათზე. (2—1)

ქ. ალექსანდროპოლის რკინის-გზის მუშათა წითელი გვარდია ულრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობთ, ძვირფასი ამხანაგის

**ევგენი მიხეილისძე ასრიბეკოვის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას. (2—1)

ქ. ალექსანდროპოლის მუშ. ჯარის.კ. და გლეხთა საბჭოების განსაკუთრებული კომისია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ძვირფასი ამხანაგ—თავმჯდომარის

**ევგენი მიხეილის ძე ასრიბეკოვის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას. (3—2)

თავზარდაცემულნი ნადეჟდა მიხეილის ასული დალაქიშვილისა, პატარა ლენა და თებრონია ზაქარიას ასული ქუმსიაშვილისა, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის, მამის და სიძის, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრის

**გიორგი ვასილის ძის დალაქიშვილის**

ტრაღიკულად დაღუპვას ამა თებერვლის 19-ს. ქ. კავკავში თანამდებობის ასრულების დროს. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე (გუნიბის ქუჩა, სახლი № 44) ხვალიდან პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ტერეზი, ძმები ქალესი და გერასიმე, რძლები ლიდა და მატრონე, ბიძა ეფრემ, ბიძიშვილები არტემ და ლუკა ხუნდაძეები აუწყებენ ნაცნობთ ნათესავთ, რომ 18 თებერვალს ტრაღიკულათ გარდაცვალებულ

**კვირიაკე ლუკას ძე ხუნდაძე**

რომლის გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს 22 თებერვალს 4 საათ. მიხეილის საავათმყოფოდან და აქედან წაასვენებენ ს. კალა-გომში (გურია) დასაფლავება მოხდება კვირას 25 თებერვალს.

პ...რესა კონსტანტინეს ასული, ნინა ალექსანდრეს ასული, გრიგოლ და იოსებ ზაქარიას ძენი ქურდიანნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წევრის

**გიორგი ვასილის ძის დალაქიშვილის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას ამა თებერვალს 19 ქ. კავკავში, პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე, (გუნიბის ქ. № 44) ხვალიდან პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

კოოპერატივებო და კოოპერატორებო,

დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.
ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

## ამიერ-კავკასიის ბედი

ამიერ-კავკასიის ბედი ბოლშევიკების ავანტიურისტებმა ერთის დაკვრით გადასწყვიტეს და იგი ოსმალეთის პროვინციათ გამოაცხადეს. ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების გადაცემით ამიერ-კავკასიის არსებობას, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას აღმოსავლეთის დესპოტიზმის რკინის სალტეები ერტყმება და მთელი დემოკრატია რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას ეთხოვება.

ამიერ-კავკასიის ასეთ ბედს დიდი ხანია მოველოდით. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა რუსეთის ჯარები გაათახსირეს და დასავლეთისა და კავკასიის ფრონტები გააშიშვლეს, ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტებს საშუალება მიეცათ რუსეთისათვის, რაც უნდოდათ, ის ჩამოეთალათ და მრავალი ტერიტორიები დაესაკუთრებიათ. თვით დამარცხებული და დასუსტებული ოსმალეთიც კი სრულიად გამარჯვებული გამოვიდა და ბოლშევიკების საზავო პოლიტიკის მეოხებით აღმოსავლეთისაკენ 1877 წლის საზღვრების აღდგენას აპირებს. უკანასკნელი გარემოება კი ოსმალეთის მთავრობას საშუალებას მისცემს კავკასიის ქედამდის თავისი დროშა აათრიალოს.

მაშასადამე ამიერ-კავკასიას დიდი საფრთხე მოელის და მისი მცხოვრებნი დიდ განსაცდელის წინაშე სდგას. მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთილებას არ მივსცემივართ, ამიერ-კავკასიის ბედი საბოლოვოთ გადაწყვეტილათ არ მიგვაჩნია და გამოსავალი გზები დაგვრჩენია.

თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კავკასიის ბედი ოსმალეთის მასშტაბით არ გადასწყდება და უკანასკნელს—იგივე მოკავშირეები ნებას არ მისცემენ, რომ ოსმალეთი—ეს სრულიათ განუვითარებელი და დაქვეითებული სახელმწიფო ასეთ მდიდარ კუთხეს დაეპატრონოს, როგორიც არის ამიერ-კავკასია.

მას შემდეგ, რაც გერმანია-ავსტრიის სახელმწიფოებმა აღმოსავლეთისაკენ ფეხი მოიკიდეს და რუსეთის დასავლეთის მრავალი ადგილები დაიკავეს, ისინი შეეცდებიან ბუფერები გაიჩინონ და შემდეგისათვის რუსეთის საფრთხიდან თავი უზრუნველყონ. გერმანია-ავსტრიის აღმოსავლეთის იმპერიალისტური პოლიტიკა მოითხოვს, რომ ასეთივე ბუფერი კავკასიისკენაც გაიჩინოს და მით აღმოსავლეთის პოლიტიკა უზრუნველყონ. როგორ შეიძლება ამიერ-კავკასია რუსეთის ფარგლებში დარჩეს და ამავე დროს გერმანიის სპარსეთ-ოსმალეთში და ახლო აღმოსავლეთში სავაჭრო პოლიტიკას განსაცდელი არ მოელოდეს. მაშასადამე—ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გერმანია-ავსტრიის საგარეო პოლიტიკას არ ეწინააღმდეგება. აქ დარჩენილია მარტოდ-მარტო ოსმალეთი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით მიისწრაფის ამ უშველებელი ტერიტორიის ბატონათ გამოვიდეს. მაგრამ მათი ასეთი ბატონობის სურვილი ეწინააღმდეგება მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას. ამ შემთხვევაში ადგილობრივი მცხოვრებნი განურჩევლათ ეროვნებისა თავიანთ თავს ოსმალეთის მტარვალს ხელში ვერ ჩაუგდებენ და მით მთელ მომავალ ცხოვრების განვითარებაზე უარს ვერ იტყვიან.

ახლა ჩვენს წინ სდგას დამოუკიდებლობის საკითხი, მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი მოვალენი არიან ერთი მიზნით, ერთი სურვილით აღიჭურვენ და შეერთებული ძალ-ღონით, დამოუკიდებელი რესპუბლიკანური ორგანიზაციით გამოვიდენ და თავიანთ ასეთი შეკავშირების მეოხებით უზრუნველყონ თავიანთი არსებობა.

ასეთ შეკავშირების მეოხებით ჩვენ საშუალება მოგვეცემა დასუსტებულ ოსმალეთს შესაფერი ძალა დაუყენოთ და მის დაპყრობითი პოლიტიკა შევაჩეროთ. ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ წინააღმდეგ სდგას მარტოთ-მარტო ოსმალეთი, ჩვენს არსებობას ოსმალეთი ემუქრება. განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის დემოკრატია მოვალეა ასეთ მტარვალის წინაშე დაირაზმოს, აქ გაცალკევებული მოქმედება, ერთი-მეორის საწინააღმდეგო ორიენტაციები დამღუპველი იქნება. მაშასადამე, ამიერ კავკასიის ხალხი ამიერიდან თავს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ აცხადებს და ამ თავისუფლებას იგი არავის დაუთმობს მით უმეტეს, რომ ჩვენ მიერ მოპოვებულ თავისუფლებას მტრათ ევლინება ოსმალეთის დესპოტიური მთავრობა და მისი აგენტები. ამიერ კავკასიის მთლიანობისა და მისი დამოუკიდებლობის დაცვა უმთავრესათ ამიერ კავკასიის დემოკრატიის საქმეა. ხსნა შეკავშირებაშია და აქეთ მოვუწოდებთ ყველას.

## ამიერ-კავკასიის ყველა სოც.-დემ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

ბოლშევიკებმა პეტროგრადში გაჰყიდეს ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები. ლენინ-ტროცკის მთავრობას გადაუწყვეტია ბათომის, ყარსის და არდაგანის ოლქები ოსმალეთს დაუთმოს. ამ ნაირათ ამიერ-კავკასიის მომავალ განვითარებას კარები ეხშობა.

ამ საშინელმა ამბავმა ფეხზე დააყენა თფილისის პარტიული ორგანიზაციები. საგანგებოთ მოწვეულმა შეერთებულმა კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა, რომ საჭიროა ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რომ გარეშე მტრის შემოსევისაგან დაცულ იქნას ჩვენი ქვეყანა. დადგენილების ძალით ჩვენი ფრაქცია სეიმში მხარს დაუჭერს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებას, რომ ხელფეხი გავიხსნათ ბოლშევიკურ მთავრობის ოპეკისაგან და გათავხედებულ მტრის სურვილები შევბოჭოთ.

ამხანაგებო! ქვეყანა და რევოლიუცია განსაცდელშია. საჭიროა ბრძოლა, რომ მონური უღელი თავიდან ავიცილოთ. ხალხს, შეიძლება, კარგათ არ ქონდეს გათვალისწინებული, თუ რა საშინელება მოელის მას. ამიტომ მიიღეთ ყოველგვარი ზომები, რომ ხალხს ფართო მასას აუხსნათ საქმის მდგომარეობა. ამისთვის გამართეთ კრებები და მიტინგები, მოძრაობაში მოიყვანეთ მთელი პარტიული აპარატი.

ეხლავე შეადგინეთ შეიარაღებული რაზმები და აღნიშნულ ადგილების დასაცავათ გაგზავნეთ. ქუთაისის გუბერნიის ორგანიზაციებმა ბათუმის დასაცავათ უნდა გაგზავნონ შეიარაღებული ნაწილები, ხოლო ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილების ორგანიზაციებმა—ყარს-არდაგანისკენ. დაყოვნება შეუძლებელია. შეაგროვეთ იარაღი ყოველ მაზრაში, თავი მოუყარეთ ყველაფერს, რაც კი თავდაცვისთვის გამოსადეგია.

რევოლიუცია განსაცდელშია! მჭიდროთ შეკარით თქვენი რაზმები.

დადგა დრო, როცა დემოკრატიამ თითონ უნდა იკისროს საკუთარი კუთხის დაცვა და თითონ უნდა გამოსჭედოს თავისი ბედი.

**საოლქო კომიტეტი ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა.**

## ამიერ-კავკასიის ერთობა

ანარქია ამიერ-კავკასიაშიაც იკიდებს ფეხს და ერთი კუთხიდან მეორეში გადადის. აღარ დარჩენილა ადგილი, რომელსაც მისი გამხრწნელი ალი არ მოსდებოდეს. ერთი კვირა არც კია მას შემდეგ, რაც თავზე ხელაღებულმა სამშობლოსა და რევოლიუციის მოღალატეებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს გორი და ქუთაისი და მშვიდობიანი მცხოვრებნი ყაჩაღურათ აიკლეს; ერთი კვირა არც კი გასულა მას შემდეგ, რაც ამ მოღალატეებს მოქალაქეთა და წითელ გვარდიის შეწევნით იარაღი აჰყარეს და ასეთივე სამარცხვინო ამბავი მეორდება ქალაქ თელავში. როგორც იქიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან, მერვე ქართულ პოლკს აუკლია და გაუნადგურებია კომისარიატი, ქაღალდები და საბუთები დაუწვავს, თოფები და პატრონები გაუტაცნია. მილიცია ჯარის სიმრავლის გამო დამარცხებულა და გაფანტულა. წითელი გვარდია იქ არ არსებობს. ჯარს ქალაქი „აულია" და ძარცვა გლეჯას შესდგომია. პოლკის გონიერ ნაწილს, თუშების ჯგუფს ამ სამარცხვინო მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ აქტიურად არ შებრძოლებია მოღალატეებს და „ნეიტრალიტეტი" დაუცავს.

გაცილებით უფრო უნუგეშო მდგომარეობაა ერევნის და განჯის გუბერნიებში. როგორც ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომებზე გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, იქ ნამდვილი ომი გაჩაღებულა სომხის ნაწილებსა და თათრებს შორის. ეს შემაძრწუნებელი ბრძოლა და ძმათა შორის სისხლის ღვრა სხვადასხვა შემთხვევებით არის გამოწვეული. ეშელონების მიერ ადგილობრივ მცხოვრებთა შევიწროება იწვევს ხალხის აღელვებას, შეუგნებელი გლეხები ანგრევენ რკინის გზებს, რითაც ყველაზე უფრო რასაკვირველია ყაჩაღები სარგებლობენ. სომხების ზოგიერთი უპასუხისმგებლო პირები ჯერ კიდევ ვერ გამოთხოვებიან ძლიერ სომხეთის აღდგენის სურვილს, რისთვისაც სარგებლობენ თავის ეროვნული ჯარებით; მუსულმანების ნაწილი, თავის მხრივ, დაიმედებული იმით, რომ ძლიერი რუსეთი დაირღვა და დამშლელი არავინაა, განაგრძობს სომხებისადმი მტრულ მოქმედებას.

თუ ანარქია ამ გზით განვითარდა, ამიერ-კავკასიის მიდამოებში საშინელი ცეცხლის ალი დაინთება, ჯერ სომხები და თათრები დაერევიან ერთმანეთს და შემდეგ ეს ძმათა შორის ატეხილი ბრძოლა საქართველოსაც მოედება. ამით, ეჭვი არაა, მოხერხებულათ ისარგებლებს დღეს დაუძლურებული ოსმალეთის მთავრობა და მთელს ამიერ-კავკასიას მონობის უღელში გააბამს.

მსგავსს განსაცდელში ამიერ-კავკასია დიდი ხანია არ ყოფილა. დღეს განსაცდელშია არა მარტო რევოლიუცია, თვით ხალხის ყოფნა არ ყოფნის საკითხია წამოყენებული. მთელს ხალხს აღმოფხვრა და გაჟლეტა-განადგურება მოელის.

რა არის საჭირო? სიტყვით ყველა ერთხმათ აღიარებს ანარქიასთან ბრძოლის საჭიროებას, ყველას მტკიცე მთავრობის შედგენა აკერია ენაზე. მაგრამ, როცა კითხვა დგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს მტკიცე მთავრობა, ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიმდინარეობა აშკარავდება. აქ ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ძველ საკითხს ცენტრალიზმისა და ფედერალიზმის შესახებ იმ განსხვავებით, რომ უწინ ეს კითხვა მთელი რუსეთის საზომით ისმოდა, დღეს კი რუსეთთან კავშირის გაწყვეტის გამო, მისი დასმა ამიერ-კავკასიის ფარგლებში გვიხდება.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ეს საკითხი არ არის პროგრამული, პრინციპიალური საკითხი, რომ არსებულ პირობების მიხედვით ჩვენ შეიძლება ცენტრალიზმს დავუჭიროთ მხარი და შეიძლება სრული გამოყოფის მომხრენიც გავხდეთ.

დემოკრატიულ ცენტრალიზმის ნიადაგზე ვიდექით ჩვენ და რუსეთის საერთო ფრონტის მომხრენი ვიყავით მანამდის, სანამ ბოლშევიკების მოღალატურმა მოქმედებამ რუსეთი არ დაანაწილა და საკუთარ ძალების ამარა არ დაგვტოვა. მაგრამ დღეს, როცა არა მარტო მიგვატოვა ბოლშევიკურმა მთავრობამ, არამედ ჩვენდა დაუკითხავად დაგლიჯა ჩვენი სხეული და ბათუმი, არდაგანი და ყარსი ოსმალებს აჩუქა, ჩვენ შეუძლებლათ მიგვაჩნია გაჩუმება. ჩვენ წინააღმდეგი ვართ დაპყრობითი ომის, მაგრამ, როცა ჩვენზე იერიში მოაქვთ და უხეში ძალით ცდილობენ [illegible]ს დამონებას, ჩვენ არ შეგვიძლია იარაღი არ ავისხათ და არ უთხრათ მტერს: შესდეგ! მაგრამ განა შესაძლებელია რუსეთის ნაწილს შევადგენდეთ და იმავე დროს რუსეთის მთავრობის ზავს ოსმალეთთან არ ვცნობდეთ? ცხადია, ან უნდა ვიცნოთ ბოლშევიკურ მთავრობის სამარცხვინო ზავი და ბათუმ-ყარს-არდაგანზე ხელი ავიღოთ, ან ეს ადგილები უნდა დავიცვათ და ამისთვის რუსეთს ჩამოვშორდეთ. ამიტომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადება ნიშნავს თავდაცვას და ჩვენდა დაუკითხავათ ჩვენი ქვეყნის გაყიდვის უარისყოფას.

მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ გამოყოფის შემდეგ? აქ გამოდიან ბრმა და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსები ჩვენებურ ნაციონალ-დემოკრატების და სოციალისტ-ფედერალისტების პირით და გვეუბნებიან: მოსპეთ სეიმი, როგორც მთელი ამიერ-კავკასიის მომწყობი დაწესებულება, სეიმმა ეხლავე გაჰყოს ამიერ-კავკასია სომხებს, ქართველებს და თათრებს შორის და შემდეგ დაიშალოსო.

რაზე ამყარებენ ამ რჩევას ეს ბრძენი პოლიტიკოსები? იმ ზოგად მოსაზრებაზე, რომ ფედერალიზმი სჯობია ცენტრალიზმს, რომ საქართველო ახლავე ცალკე სახელმწიფოთ უნდა გადაიქცეს, საკუთარ, ვიწრო ნაჭუჭში მოემწყვდეს და საკუთარი საქმეები აკეთოსო.

რაზე ვემყარებით ჩვენ? იმაზე, რომ ამიერ-კავკასიის ერებს საერთო უფრო მეტი აქვთ, ვინემ გასაყოფი, იმაზე რომ ამიერ-კავკასია ერთს მთელს ეკონომიურ ოჯახს წარმოადგენს, რომლის ინტერესები მჭიდროთ არის ერთმანეთზე გადახლართული. ასი წლის წინეთ, ფეოდალურ წარმოების ხანაში ეს კავშირი არ არსებობდა და მაშინ მხოლოდ ძლიერ იარაღს შეეძლო მთელი კუთხის ერთად შეკავშირება, დღეს კი ეკონომიურმა განვითარებამ დაბადა მჭიდრო ურთიერთობის საჭიროება. დაანგრიეთ თუნდაც ბაქოს რკინის გზა, მოსწყვიტეთ ბათუმს და თქვენ აშკარათ იგრძნობთ, საკუთარს ზურგზე გამოსცდით ჩვენ მიერ თქმულის სინამდვილეს. ამას კარგათ გრძნობს ყველა, არ გრძნობენ მხოლოდ ჩვენებური ფედერალისტები და ეროვნული დემოკრატები, რომელნიც ცხოვრებას არავითარ ანგარიშს არ უწევენ. იმათ ისე აქვთ წარმოდგენილი კავკასიის ერთა ცხოვრება, როგორც გეომეტრიაში პარალელური ხაზებია: რამდენიც არ უნდა გააგრძელოთ ეს ხაზები ერთმანეთს არ შეხვდებიან. ისინი ფიქრობენ: სეიმი გაამბამს თოკს, და კუთვნილ მიწა-წყალს მიუზომავს თათრებს, სომხებს და ქართველებს და როგორც ღმერთმა დაისვენა ქვეყნის გაჩენაზე ექვსი დღის შრომის შემდეგ, ისე სეიმი ადგება და დაისვენებს. ზღაპარი ადვილათ ითქმის, მაგრამ საქმე როდი კეთდება ასე ადვილათ!

ამიტომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შექმნა, სეიმის გაძლიერება და მტკიცე ავტორიტეტული მთავრობის შექმნა ჩვენი მიუცილებელი მოვალეობაა.

ამიერ-კავკასიის მოძრაობა ან სულ დამარცხება ან გაიმარჯვებს როგორც მთელი დემოკრატიის მჭიდრო კავშირი.

## რაზე გაიბუტნენ სოც.-რევოლიუციონერები?

სეიმის სხდომაზე 19 თებერვალს ერთი მეტათ საინტერესო შემთხვევა მოხდა: სეიმის სოციალისტ-რევოლიუციონერების ფრაქციამ პროტესტის ნიშნათ სხდომა მიატოვა.

რუსეთის საპარლამენტო ცხოვრებიდან ჩვენ ვიცით, რომ მემარცხენე პარტიები, როცა მათზე სათათბიროს უმრავლესობა რაიმე ძალმომრეობას იხმარდა, პროტესტის ნიშნათ დარბაზს სტოვებდენ. აქ კი სულ სხვა გვარათ დატრიალდა საქმე. როცა სადაო კითხვას კენჭი უყარეს სოციალისტ-რევოლიუციონერებმა მუსულმანების პარტია „მუსავატ"-თან ერთად თავი დაიკავეს, და გავიდა წინადადება სოციალ-დემოკრატებისა, რომლებსაც მხარი დაუჭირა დაშნაკცუთიუნმა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ის დიდ ნათესაობას გრძნობს სოციალისტ-რევოლიუციონერებთან, მაგრამ, სამწუხაროთ, მაინც მის წინააღმდეგ აძლევს ხმას.

რა კითხვა იყო ეს კითხვა და რათ მოხდა, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერებმა პროტესტი გამოუცხადეს სოციალისტებს?

კითხვა ეხებოდა ფრონტის წარმომადგენლებს. როგორც ვიცით, კავკასიის ფრონტის ჯარმა სოციალისტ-რევოლიუციონერებს მისცა ხმა დამფუძნებელ კრების არჩევნებში და ამ პარტიამ ხუთი კაცი გაიყვანა. შემდეგ, როცა 22 იანვარს გადაწყდა ამრჩეველთა რაოდენობის შემცირება და წარმომადგენლობის გამრავლება, ფრონტის დეპუტატთა რიცხვი თხუთმეტამდი ავიდა.

მაგრამ ამ ხანებში მოხდა დაუჯერებელი ამბავი, რომელიც ჯერ კიდევ ნოემბერში დაიწყო: ფრონტის ჯარი, რომელმაც სოციალისტ-რევოლიუციონერები აირჩია, სახლში გაეშურა, და ამიერ-კავკასიის საზღვრები მიატოვა. კითხვა დადგა: თუ სეიმი წარმომადგენლობითი დაწესებულებაა, ცხადია, ფრონტის დეპუტატები სეიმში ვერ დარჩებიან, რადგან თითონ ფრონტი სულ სხვა ტერიტორიაზე გადაბარგდა. დემოკრატიულ დაწესებულებას არ შეშვენის, რომ იქ ცარიელ ადგილების წარმომად-

გენლები ისხდენ. ამიტომ გადაწყდა: ვინც უკვე არჩეულია ფრონტიდან დამფუძნებელ კრებისთვის ის დარჩეს, მაგრამ გამრავლება უარყონ. აი ამ მარტივმა დემოკრატიულმა გადაწყვეტილებამ გააწიწმატა სოციალისტ-რევოლიუციონერები და პროტესტის ნიშნათ დარბაზი დაატოვებია. იმის მაგიერ, რომ თითონ ეგრძნოთ თავის წარმომადგენლობის უხერხულობა და თითონვე ეთქვათ უარი, ისინი გაიბუტნენ. კიდევ კარგი, რომ გაბუტვით დაკმაყოფილდნენ. მათ ოჰი ასეთი მოსაზრებაც მოიყვანეს. ჯარმა სამი წელიწადი იბრძოლა და დაიმსახურა, რომ წარმომადგენლობა ჰქონდესო. ასეთია ერთი საბუთი. მეორე საბუთი კი ის არის—ჩვენ სოციალისტები ჯართ და სეიმში სოციალისტურ უმრავლესობის შექმნას ხელს შეუწყობთო.

ამნაირათ მათ დაავიწყდათ, რომ უმრავლესობას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა ის ხალხზე ეყრდნობა, ხოლო ის ხალხი, რომელმაც ესერები აირჩია—აქ აღარ არის. საინტერესოა ისიც, რომ ესერები წასულ ჯარს სამი წლის ბრძოლის სასყიდლათ აძლევენ ხმებს. ვთქვათ, ეს სამართლიანია, მაგრამ ეს ჯარი კი ამის თანახმა იქნებოდა? ნუ თუ ესერებმა არ იციან, რომ ყოფილი კავკასიის ფრონტი უკვე გაბალშევიკდა! რისთვის დასჭირდათ მათ ეს ორმაგი სიყალბე?

ასეთს სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდა სოციალისტ-რევოლიუციონერების ფრაქცია.

## პრესა

ბალშევიკურ მთავრობის მოღალატურმა პოლიტიკამ მთელი ამიერ-კავკასია ფეხზე დააყენა. ხალხი აღშფოთებულია ბათუმ-ყარს-არდაგანის ოსმალეთისათვის გადაცემის განზრახვით. კერძოთ ქართველ ხალხს, როგორც დემოკრატიის ავანგარდს, სხვაზე უფრო აღშფოთებს ეს საკითხი. დაჰკრა საათმა, როცა ქართველი დემოკრატია, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგება და მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიასთან ერთად მედგრად შეებრძოლება მტერს. ვის შეუძლია უიმედობას მიეცეს ამ საერთო აღტყინების დროს, თუ არ გადაგვარებულს და ცხოვრების ხორცმეტს. მაგრამ თურმე შესაძლებელი ყოფილა არსებობა ისეთის პარტიის, რომელსაც სიცოცხლის იმედი დაუკარგავს და სოციალისტათ კი სთვლის თავის თავს. **ასეთია პარტია ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებისა.** ამ პარტიის გაზეთი „სახალხო საქმე“ სწერს:

„დღეს, როდესაც სამშობლო გაგვიყიდეს, როდესაც უსირცხვილოთ და უნამუსოთ ერს თავისი უფლება ზედ გადააფხრიწეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა საჯარო ვაჭრობაზე გამოიტანეს, რა შეგვიძლიან დავუპირდაპიროთ ამ უმაგალითო პოლიტიკურ ყაჩაღობას?

[illegible]

ნაცვლათ სიცოცხლეს აღმოაჩენდენ. მაგრამ მათ ეს არ შეუძლიათ, როგორც მკვდარე ინტელიგენტთა ჯგუფს. მათ ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ გაიგონ, თუ რა ხდება ჩვენს სოფლებში: ხალხი იარაღს ისხამს მტრის დასახვედრათ, ფედერალისტები კი ამ დროს ყურზე ძილს განაგრძობენ.

მაგრამ ფედერალისტები წუწუნით როდი კმაყოფილდებიან. ისინი დამნაშავეს ეძებენ. და ეს დამნაშავე უპოვიათ კიდეც. მერე იცით ვინ ყოფილა დამნაშავე? „სახალხო“ განაგრძობს:

„ეს საქმე მენშევიკების ათეული წლების ბარბაროსულმა პოლიტიკამ ჩაჰკლა და გააცამტვერა. სოციალ-დემოკრატებმა ქართველი ხალხის გულში მოჰკლეს სამშობლო... ბათომი ბალშევიკებმა ოსმალეთს მიჰყიდეს. ნუ თუ ამის შემდეგაც ჩვენ იძულებული გავხდებით სოციალ-დემოკრატების ლათაიებით ვიკვებოთ და ჩვენი ქვეყანა ზვარაკად შევსწიროთ იმ დამღუპველ პოლიტიკას, რომელსაც დღემდის აწარმოებდენ სოციალ-დემოკრატები და დღესაც აწარმოებენ“.

ამ გვარათ, „სახალხო“ დამღუპველათ აღიარებს იმ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით და დღესაც ვაწარმოებთ?

მაშ რა იყო საჭირო ფედერალისტების აზრით? ისინი თვითონვე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ითხოვდენ. ესმით თუ არა ამ ავანტიურისტებს, რომ მსგავსი პოლიტიკით რა უბედურობამდე მიიყვანეს სომხის ხალხი? ესმით მათ თუ არა, რომ დღეს ტფილისში შაუმიანი იქნებოდა გაბატონებული, ჩვენ რომ ფედერალისტური პოლიტიკა გვეწარმოებია. ფედერალისტები დღესაც იწუნებენ ჩვენ პოლიტიკას. რას გვირჩევენ? ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ ფრონტის დაშლას და საქართველოს ცალკე სახელმწიფოთ გამოცხადებას! მერე რა ძალით ფიქრობენ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას, რომელ საჭიროებისათვის თიშვენ ამიერ-კავკასიის დემოკრატიას?

საბრალო ავანტიურისტები!

ამიერ-კავკასიის საოლქო ცენტრის ორგანო „იზვესტია“ აღნიშნავს, რომ საჭიროა ბათუმის და ყარსის დაცვა, მაგრამ ამისთვის მავნებლათ თვლის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებას და ამისთვის ურჩევს სეიმს დიდ სიფრთხილეს.

მერე რითი ასაბუთებს გაზეთი თავის აზრს?

ჩრდილოეთი კავკასია პურს არ მოგვცემს და მუსულმანები მაინც არ მიიღებენ მონაწილეობას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაშიო.

არც ერთი საბუთი არ არის საფუძვლიანი. პურს ჩრდილოეთი კავკასია არ დაგვიჭერს, რადგან ჩვენი დამოუკიდებლობა სულაც არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს. რაც შეეხება ამიერ-კავკასიის საზღვრებში მცხოვრებ მუსულმანებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ობიექტიურათ ისინი არ არიან დაინტერესებული ოსმალეთის ბატონობაში და ჩვენც ვალდებული ვართ ანგარიში გაუწიოთ ამ გარემოებას და არა მუსულმან ბეგების სურვილებს.

ყველაზე საინტერესოა შემდეგი საბუთი:

„ჯერ კიდევ არ ჩამორეკილა სამგლოვიარო ზარი დიდ რუსეთის რევოლუციისა; ჯერ ადრეა დამარხვა რუსეთის დემოკრატიისა, რომლის განუშორებელ ნაწილსაც ჩვენ შევადგენთო!“

ასე კითხვის დასმა გაუგებარია. განა ჩვენ ვშორდებით რუსეთის დემოკრატიას? ეს არ არის მართალი. ჩვენ უკვე ჩამოშორებული ვართ და ძალა არ შეგვწევს მას დავუახლოვდეთ. ჩვენ ძალთა განწყობილებას ვუწევთ ანგარიშს და არა ჩვენს სურვილებს, თორემ ჩვენ სურვილებზე რომ იყოს დამოკიდებული, ჩვენ დღესვე მოვსპობთ ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს და მთელი ქვეყნის დემოკრატიას ერთად დავიგზავდით!

## კავკასიის ფრონტი

18 თებერვალი, საღამოს 4 საათი. რაზმი, რომელიც კორმუზთან იდგა, უკან წავიდა. სოფ. ტაკია--დარასისთან სწარმოებს ქართების პატარა ნაწილებთან

[illegible]

## გერმანელების შემოტევა

[illegible]

შეჩერებულია. იყო შემთხვევები, გერმანელი ჯარისკაცები გადმოდიოდენ ჩვენსკენ. გერმანელი ჯარისკაცები იარაღით გადმოდიან ჩვენს რაზმებში და აცხადებენ: ჩვენ არ ვუჭერთ მხარს შემოტევასო.

## კიევის აღება

რუმინიის ფრონტის სახალხო კომისართა საბჭოს ჯარების უფროსი მურავიოვი ნიკოლაევიდან პეტროგრადში შემდეგს აცნობებს კიევის აღების შესახებ: გაცნობებთ კიევის თითქმის უბრძოლველათ აღებას ავსტრიელების, უკრაინელების, გაიდამაკების და სხვ. ბრბოთა მიერ. კიევის ასე ადვილათ აღების მიზეზია უკრაინაში საბჭოთა ძალა-უფლების სრული არევ-დარევა და პირადი ინტრიგები სახალხო მდივანთა შორის. კოციუბინსკიმ პირდაპირ განაცხადა, რომ არ სცნობს კრილენკოს მთავარ-სარდლათ, ეს უბრალო ფიქციაა და უკრაინაში მე ვარ მთავარ-სარდალიო. ამ განცხადებამ არევ-დარევა შეიტანა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარში, რომელმაც დასტოვა კიევი. შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ჯარების დაშლა დააჩქარა იმ გარემოებამ, რომ უკრაინელ ბალშევიკებმა გამოიჩინეს ვიწრო ნაციონალური პატრიოტიზმი, რის გამო საბჭოს ჯარმა ვერ მიიღო საჭირო იარაღი და საომარი მასალა. შემდეგ მურავიოვი აღნიშნავს, რომ კოციუბინსკის უწინაც შექონდა არევ დარევა საბჭოს ჯარში, მან საბოლოოდ დაშალა საბჭოს სახელოვანი ჯარი, რომლის შექმნა მურავიოვს ხელახლად მოუხდა, და იგი ამჟამათ ვიკკაცურათ ებრძვის რუმინელებს. თავის ნებით შემდგარი სამხედრო კომიტეტმა, რომელიც არ არის ჯარის წარმომადგენელი, ვინაიდან ამ ჯარის ნაწილი უკვე განთავისუფლეს, მიატოვა ჯარი და არავინ იცის სად იმყოფება იგი. ამ კომიტეტს სათავეში უდგანან ვიღაც მოისეევი და ლაპიდუსი, რომლებიც თავის თავს ბალშევიკებს უწოდებენ, ჩემის აზრით კი ისინი უბრალო მოღალატენი არიან. კომიტეტმა გზაში დაატყვევა საბჭოს 1 არმიის უფროსი ეგოროვი, რომელიც მიდიოდა პეტროგრადში.

დასასრულ მურავიოვი მოითხოვს კოციუბინსკის, მოისეევის და ლაპიდუსის რევოლიუციონურ და პარტიულ სამართალში მიცემას, აგრეთვე აცნობებს, რომ აპირებს კიევისაკენ წამოსვლას, როგორც კი მორჩება რუმინიასთან ბრძოლას,

## ნოვოჩერკასკის აღება

ნოვოჩერკასკი აიღო სახალხო კომისართა საბჭოს ჯარმა. კალედინის თანაშემწე მოკლეს. გენერალი ალექსეევი გაიქცა.

## მდგომარეობა ერზერუმში

ოსმალეთის სომხეთის გენერალ-კომისარის ცნობით მდგომარეობა ერზერუმში გაუმჯობესდა. ექსცესები, რომლის შესახებაც იტყობინებოდენ, ძალზე გაზვიადებული აღმოჩნდა. ერზერუმის რაიონში მილიციამ მიიღო ენერგიული ზომები საეჭვო პირთა წინააღმდეგ. რევოლიუციონური ტრიბუნალი ცდილობს აღადგინოს წესრიგი. ქალაქში მკვლელობა არ არის. ხნისის და ვანის რაიონებში მდგომარეობა მტკიცეა. კარმუჯი და ახლათი ისევ წაართვეს თათრებს ჩვენმა მოწინავე რაზმებმა.

## მდგომარეობა ულუხანლუში და ყამარლიუში

ერევნიდან 19 თებერვალს პირდაპირი მავთულით შემდეგი ცნობა მოვიდა: თათრებსა და სომეხ ჯარისკაცთა შორის განუწყვეტელი თოფების სროლა სწარმოებს; ორივე მხრიდან მსხვერპლი დიდია. 17 თებერვალს, საღამოს გავალუდან ცნობა მოვიდა, რომ სოფელი რეახლუ გარშემორტყმულია თათრებით. ოფიციალური ხასიათის ცნობები მეტი არ არის. კერძო ცნობების მიხედვით შემდეგს იტყობინებიან: ქურთების, ჯამალელების და ადგილობრივ მუსულმანთაგან შემდგარი რაზმი 16 თებერვალს თავს დაესხა კამარლიუს, სადაც სომხური სამხედრო ნაწილები სდგას. მეორე დილას დიდი შეტაკება მოხდა. საქმის მოსაწყობათ

[illegible]

დათ, მაგრამ რადგანაც ადგილობრივ მუსულმანებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, მათ მოუხდათ ულუხანლუზეც გალაშქრება. მცხოვრებნი შევიწროებულნი არიან.

## უწესოება თელავში

თელავის ქალაქის გამგეობიდან პირდაპირი მავთულით 19 თებერვალს ტფილისში შემდეგი ცნობა მოვიდა: „ქალაქი ადგილობრივ ქართველ ჯარისკაცთა მერვე პოლკის ხელშია. გუშინ ჯარისკაცებს და მილიციონერებს შეტაკება მოუვიდათ. ორივე მხრიდან მოკვდა და დაიჭრა რამდენიმე კაცი. მილიციონერები გაიქცენ. ჯარის-კაცები იჭერენ მილიციონერებს და კომისარებს და ხვრეტენ. გვიშველეთ.

— —

მდგომარეობა დღეს უარესია, ვიდრე გუშინ, მილიციონერები და კომისარები სადღაც გაიქცენ. ჯარისკაცები იტაცებენ მთელ კომისარიატის ქონებას და წინააღმდეგ ვერავითარ ზომებს ვერ ვღებულობთ, რადგან თელავში წითელი გვარდია არ არის. კომისარიატი გაძარცვეს. გაიტაცეს თოფები და პატრონები. ქალალდები დასწვეს. თუ ეხლავე არ მოგვეშველეთ მთელ ქალაქს გაანადგურებენ: თუშების როტა ჯერ ნეიტრალიტეტს იცავს და შეიძლება ჩქარა სულაც წავიდენ აქედან. ერთად ერთი საშველებაა—ფიზიკური ძალა უნდა ვიხმაროთ. დღეს ქალაქის გამგეობას კრება ჰქონდა და შემდეგი დაადგინა: თელავის ქალაქის თვითმართველობამ რევოლიუციონერ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ პოლკის წარმომადგენლებთან ერთად განიხილა მომხდარი ამბავი და დაადგინა გარდასცეს ქალაქის კომისარიატი ჯარისკაცებს და პოლკში განიხილავენ ამ საკითხს“. შედეგს საღამოს შეგატყობინებთ. საჭიროა სწრაფი დახმარება, თორემ უარესს მოველით.

## ახალი ამბები

**დღეს, დილის 10 საათზე დანიშნულია საოლქო კომიტეტის სხდომა საკუთარ ბინაზე.**

**ეშელონები.** განჯიდან 18 თებერვლის თარიღით შემდეგს იტყობინებიან: დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ეშელონებმა ბრძოლით გაიარეს სადგური განჯა. მოსამსახურენი იმალებოდენ. ეშელონების მხრით მსხვერპლის რაოდენობა არ არის გამორკვეული. მოსამსახურეთა მხრივ მოკლულია მემანქანის თანაშემწე პერეგუდოვი და დაჭრილია კონდუქტორი ერისთავი. რკინის გზის თეატრი და რამოდენიმე სხვა შენობა, რომელიც სადგურის ახლო არის გაშენებული, იწვის. მოსამსახურენი დიდ პანიკაში არიან, საჭიროა ახალ აგენტების გამოგზავნა, რათა დაქანცულ რკინის გზის მოსამსახურეთა შტაბს დასვენების საშუალება მიეცეს. რევოლიუციონურ კომიტეტის მუშები და რკინის გზის მოსამსახურენი ყოველ გვარ ზომებს იღებდენ, რათა ეშელონებს მშვიდობიანათ ჩაევლოთ. იქედანვე საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამცველ კომიტეტის თავმჯდომარე ხას-მამედოვი შემდეგს იტყობინება: ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლის შემდეგ (თავდამსხმელ ბრბოს მეტი ზარალი მოუვიდა) მოსახერხებელი შეიქნა ეშელონების შეუჩერებლათ გაშვება. ჯარისკაცებმა ბევრი სახაზინო და კერძო პირთა შენობები გადასწვეს. დაარბიეს სასურსათო საწყობი. მიღებულია ზომები, რათა გამოკვლეულ იქნას ზარალის რაოდენობა და ქალაქში მშვიდობიანობა დამყარდეს. საჭიროა ის ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც ტფილისისაკენ წამოვიდა, დაბრუნებულ იქნას უკანვე. საჭიროა მატარებელთან ერთად გამოიგზავნოს იარაღი. პატრონები და შაქარი.

**მიმოსვლის განახლება.** 18 თებერვლიდან სად. სარიყამიშში ნება დართულია გაიყიდოს სამგზავრო ბილეთები და მიიღებენ ბარგს. მოსამსახურენი უკმაყოფილონი არიან, ვინაიდან მათ არ აძლევენ იარაღს; ითხოვენ შეიარაღებას ისე, როგორც ეს ბათუმის რაიონში არის.

**გ. დალაქიშვილის მოკვლა.** კავკავიდან 6. ელიავასაგან 19 თებერვალს შემდეგი დეპეშა მივიღეთ: დღეს, დილის

[illegible]

თარი პასუხი ვერ მიიღეს, 20 თებერვლიდან გამოცხადებულ იქნა გაფიცვა. გამგეობა სთხოვს ამხანაგებს დაუბრუნდენ მუშაობას, ვინაიდან უკვე მოსულა ცნობები მეპატრონეთა ბიუროდან, რომ იგი თანახმაა საქმე მომრიგებელ კამერას გადაეცეს, რომელიც თანასწორ წარმომადგენლებიდან შესდგება. კამერის სხდომა 22 თებერვალს მოხდება.

**წარმოდგენა.** დღეს, სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „მეზობლები“. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ პირველ ახალ ამბავში სიტყვა „მოწოდებას“ შემდეგ დასმულია კითხვითი ნიშანი, ვინაიდან ეს სიტყვა არ იყო დეპეშაში აღნიშნული და ჩვენ ჩაუმატეთ. ახლა გამოირკვა, რომ რეზოლიუციაში ნახმარი ყოფილა სიტყვა „მოწოდება“. მხოლოდ დეპეშაში იგი შემთხვევით გამორჩენილია.

### კრებები და მიტინგები

დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება მორიგი კრება მე-4 რაიონის კოლექტივისა. ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას და ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, საღამოს 8 ს. „ახალი კვალის“ რედაქციაში დანიშნულია ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის სხდომა.

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი.** ქალაქის თვითმართველობამ 10 იანვრის სხდომაზე დააწესა ნიხრი-ხორცზე, თევზზე ეტლებზე და „დროგებზე“.

— ქალაქის თვითმართველობამ გადასწყვიტა გაადიდოს მილიციის შტატი 40-დან 55 კაცამდე და დაარსოს მილიციონერების რამდენიმე პოსტი ნავთსადგურის ტერიტორიაზე.

— მილიციონერებს ქალაქის თვითმართველობამ მოუმატა ჯამაგირი 33 პროცენტით, ხოლო მილიციის უფროსს 15 პროცენტით.

— ვაჟთა გიმნაზიაში სწავლის ფული მომატებულია 4 კლასამდის 50 პროც., ხოლო 5—8 კლასებში 100 პროც. სამოქალაქო სასწავლებელში სწავლის ფული მომატებულია 10 მანეთით. ვაჟების გიმნაზიის 52 ღარიბ მოწაფეს სწავლის ფულის გადასახადისაგან ანთავისუფლებს ქალაქი.

## გერმანიის იმპერიალიზმის გამარჯვება

ომის დაწყებისას გერმანია მთელი თავისი სამხედრო ძალით დაეტაკა საფრანგეთს. საფრანგეთის დამარცხებით გერმანიის იმპერიალისტები ჰფიქრობდენ ბრიის ბასსეინის ხელში ჩაგდებას, ე. ი. იმ ბასსეინის, რომელიც უმდიდრეს კუთხეთ ითვლებოდა მთელს საფრანგეთში, რომლის რკინის წარმოება ომამდე უდრიდა 90 პროცენტს მთელ საფრანგეთში რკინის წარმოებისას. ამ ბასსეინის მნიშვნელობაზე როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის მწერლებს ბევრი რამ აქვთ დაწერილი. ერთი გერმანელი მწერალი სრულიად სამართლიანათ სწერდა, რომ „თუ ბრის ბასსეინს ოდესმე ჩამოვაშორებთ საფრანგეთს ეს ნიშნავს, რომ ამ სახელმწიფოს სრულიათ უძლურ სახელმწიფოთ გავხდით ეკონომიურ მხრივო“. ეს მწერალი იყო გერმანიის იმპერიალისტების სულის ჩამდგმელი გრაფი რევენტლოვი. რევენტლოვმა კარგათ იცოდა, რომ ამ ბასსეინის ხელში ჩაგდებით გერმანია შეიქნებოდა გეგემონი მთელს ევროპაში. რევენტლოვთან ერთათ ბრის ოკუპაციაზე ოცნებობდენ ადმირალი ტირპიცი და სამხედრო შტაბის უფროსი ფალკენჰაინი. ფალკენჰაინს და სხვებს მხარს უჭერდენ დიდი ეკონომიური ორგანიზაციები, როგორც მაგალითად: ლიგა მიწათ-მფლობელთა, ცენტრალური კავშირი გერმანიის ფაბრიკანტებისა და სხ., რომელნიც ეკონომიურათ დაინტერესებულნი იყვნენ ბრიის ბასსეინის ხელში ჩაგდებით.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მთავარ-სარდალმა ჟოფრმა სასტიკათ დაამარცხა გერმანიის ჯარი მარნაზე, გერმანიის იმპერიალისტების დასავლეთისკენ ლტოლვილებას ბოლო მოეღო. თავი წამოჰყო იმპერიალისტთა იმ ჯგუფმა, რომელსაც მეთაურობდენ გენერალი ფონ-დერ ჰოლცი, ყოფილი კანცლერი

[illegible]

ნია, ავსტრო-უნგრეთი, ბალკანეთი და ოსმალეთი, სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ, ამ სქემით გერმანიის იმპერიალისტებს უნდოდათ ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ეკონომიურათ გაბატონდებოდა მთელს დედა-მიწის ზურგზე. „საშუალო ევროპის“ სქემამ, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდათ გერმანიის იმპერიალისტებს დღეს უფრო ფართე ხასიათი მიიღო. ამ სქემას ჯერ-ჯერობით დაემატა პოლონეთი, ლიტვა, კურლიანდია, რიგა, ფინლიანდიის კუნძულები; სულ ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენათ გაფართოვდება ეს სქემა. სქემის გაფართოვებას განსაკუთრებით ხელი შეუწყვეს ბალშევიკებმა

გერმანიის იმპერიალიზმის გაძლიერებას და საერთოთ იმპერიალიზმის გაძლიერებას შეიძლებოდა ბოლო მოღებოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში: როგორც ვიცით, ომის დაწყებისას მუშა ხალხმა თავი მოიხარა თავის მთავრობების წინაშე და ამით საერთაშორისო სოლიდარობას საშინელი ზიანი მიეცა.

ომის პროცესში საჭირო იყო პროლეტარიატის დაქსაქსულ ძალთა და მოქმედებათა გაერთიანება და ეს იქნებოდა გარანტია მუშა ხალხის პოლიტიკური მნიშვნელობის ამაღლების და მისი პოლიტიკური უნარის, საერთო თავისუფლების გადასარჩენათ და ამით შესაძლებელი იქნებოდა ხალხთა საერთო ზავის მიღწევა. ამ შემთხვევაში ზავისთვის ბრძოლა მიიღებდა ინტერნაციონალურ-გაერთიანებული პოლიტიკური კამპანიის ფორმას, რომლის უმთავრესი მიზანი იქნებოდა საერთაშორისო კონგრესის მოწვევა, რომ ამ კონგრესზე მომხდარიყო საერთო შეთანხმება დაუყოვნებლივ ომის შესაჩერებლათ და მისი ლიკვიდაცია უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ. კონგრესის მოსაწვევათ სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტებმა არა ერთხელ გადადგეს ნაბიჯი, მაგრამ, როგორც ვიცით, საერთაშორისო იმპერიალიზმი, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ცდას წინ გადაეღობა. ამ კონგრესის მოწვევას ხელი შეუშალეს ეგრეთ წოდებულ ბალშევიკებმაც. ამ უკანასკნელებმა საზავო პირობებზე მოლაპარაკება არჩიეს არა სხვა და სხვა ქვეყნის მუშა ხალხის წარმომადგენლებთან, არამედ გერმანიის იმპერიალისტებთან. ამ მოლაპარაკების შედეგები ჩვენ უკვე ვიცით. ეს არის სრული დამარცხება რუსეთის დემოკრატიის და გერმანიის იმპერიალიზმის გამარჯვება.

ი. სალაყაია.

## მოწოდება

მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებს, მუშათა და გლეხთა საბჭოებს და ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებს,

დიდი რევოლიუციის ძლევამოსილი მსვლელობა და ამიერ-კავკასიის ხალხთა განთავისუფლება უწინარეს ყოვლისა უნდა გამოიხატოს დემოკრატიის თვითმოქმედებაში; დღემდის ადგილობრივი კომიტეტები, მოკლებულნი ძალა-უფლებას და სახსარს საჭირო ხარჯების გასაწევათ, ვერ გამოიჩინდენ საკმაო შემოქმედებით ენერგიას. სკოლები,—გზები, საავადმყოფოები და სხვადასხვა ეკონომიური დაწესებულებები სასტიკ კრიზისს განიცდიდენ, რაც ხელს უწყობდა საერთო ანარქიის გაძლიერებას. ერთ-ერთი საშუალება ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლათ არის ერობის ინსტიტუტის შემოღება. ჩვენ მივმართავთ ყველა ორგანიზაციებს გაგვიწიონ დახმარება და ამით უზრუნველყონ ერობის წესიერ მუშაობისთვის სათანადო ნიადაგის განმტკიცება, ერობა უნდა შეიქნეს ჩვენი კუთხის სახალხო მეურნეობის გაუმჯობესობის და განვითარება-გაშლის ქვაკუთხედათ. ერობას უნდა გადაეცეს მთელი ძალა-უფლება მაზრებში და სოფლებში და ამით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დემოკრატიული მმართველობის საბოლოოდ გამარჯვება. მივმართავთ ყველა ორგანიზაციებს, რომელთაც აინტერესებთ ჩვენი კუთხის ბედი, გაგვიწიონ დახმარება ერობის შემოღებაში. განსაკუთრებით ვსთხოვთ სოფლის მასწავლებლებს აუხსნან ხალხს ამ დაწესებულების მნიშვნელობა. თუ მასწავლებლები მოინდომებენ, და თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას შეასრულებენ, ამ ახალი დაწესებულების ახლო მომავალში მოწყობა უზრუნველყოფილია. ვსთხოვთ პრესასაც გაგვიწიოს დახმარება საკითხის სათანადო გაშუქებით.

მთავარი ინსტრუქტორი ზ. თევზაია.

ამხანაგი მთავარი ინსტრუქტორისა [illegible]

## ამიერ-კავკასიის სეიმი

19 თებერვალი.

[illegible]

ჰქონდა. კომისიამ დაადგინა, რომ ამის უფლება გვაქვს. მეორე საკითხი შეეხება შემდეგ გარემოებას: 22 იანვარს კრებაზე სეიმმა დაადგინა, რომ შესაძლებელია თუ არა მოადგილეობა ე. ი ერთი წევრი მეორემ შესცვალოს. კომისიამ განიხილა ეს საკითხი და აღვიარა, რომ მოადგილეობა არ არის დასაშვები. სეიმს მეტათ სერიოზული საქმე აქვს, მის ხელშია მთელი მხრის ბედ-იღბალი, მას საკანონმდებლო, მეტათ პასუხსაგები საქმე აქვს გასაკეთებელი და ამიტომ კომისიის აზრით იქ უნდა იყვნენ მუდმივი წევრნი, რომ ერთი მეორეს შეცვლით საქმე არ წაახდინონ. მესამე საკითხი გახლავთ ფრონტიდან წარმომადგენლობა. როგორც ვიცით კავკასიის ფრონტიდან დამფუძნებელ კრებაში გავიდა ექვსი დეპუტატი. იგინი ითვლებიან კავკასიის ფრონტის წარმომადგენლებათ. როგორც ვიცით ფრონტი აღარ არის, ჯარი დაიშალა და სახლში წავიდა. ეხლა კითხვა ასეთია, შესაძლებელია თუ არა მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ ფრონტი აღარ არჩებობს მივიღოთ ამ არ არსებულ ფრონტის წარმომადგენლობა. ამ საკითხის შესახებ სამმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ერთი მომხრე იყო წარმომადგენლობის, მეორე არა და მესამე იმ აზრის იყო, რომ წარმომადგენლობას ნაწილობრივი ხასიათი ჰქონებოდა. ასე რომ კომისია ბოლოს ვერავითარ გადაწყვეტილ აზრს ვერ დაადგა. შემდეგ კომისიას უნდა დაემტკიცებია კანდიდატების სია, მაგრამ ვერ

დავამტკიცეთ იმიტომ, რომ სია არ გვქონდა. დასასრულ კომისიამ განიხილა საკითხი იმ დეპუტატების შესახებ, რომლებიც არჩეული იყვენ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში, მაგრამ ეხლა აქ არ არიან და ამიტომ ვერ ღებულობენ მონაწილეობას სეიმის მუშაობაში. კომისიამ დაადგინა ამ აქ არ მყოფ დეპუტატების ადგილები ისე დასტოვოს და როცა დაბრუნდებიან შემდეგ დაიჭერენ თავ-თავიანთ ადგილებს.

მოხსენებამ კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ლორთქიფანიძემ (ს. რ.), თევზაიამ (ს. დ.) გვაზავამ, როტმანმა და სხვებმა. მოკამათეებს პასუხი გასცა ალ. ლომთათიძემ. სხვათა შორის გვაზავას წინააღმდეგ მან სთქვა: „გვაზავას, რომ დავუჯეროთ და დროებით აქ არ მყოფ დეპუტატების მაგიერ სხვები მივიღოთ სეიმი სასტუმროთ გადაიქცევა, სადაც ყოველ დღე იცვლებიან სტუმრები"-ო.

კამათი შესწყდა და კრებამ მიიღო სამანდატო კომისიის პირველი დებულება.

გამწვავებული კამათი გამოიწვია მეორე დებულებამ ფრონტის წარმომადგენლობის შესახებ. ამ საკითხმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ს.-რევოლიუციონერებში, რადგან ის უმთავრესათ მათ ეხებოდათ. მათმა წარმომადგენლებმა ლორთქიფანიძემ, ჩემოდანოვმა და ჩილინგმა მეტათ მწვავე სიტყვები წარმოსთქვეს; სამივე ორატორი საყვედურს აცხადებდა, რომ ს.-რევოლიუციონერების გაძევება უნდათ და ეს კარგ შედეგს არ მოუტანს დანარჩენ სოციალისტურ პარტიებსო.

მუსავატის წარმომადგენელმა დეპ. რასულ-ზადემ განაცხადა, რომ ს.-რევოლიუციონერები ფრონტის წარმომადგენლები არიან, ფრონტი აღარ არის და ამიტომ იგინი ყველანი უნდა გავიდენ სეიმიდანო. შეიძლება ეს ამიერ-კავკასიის დემოკრატიისთვის კარგი იყვეს, რადგან ის არ იზიარებს ს.-რევოლიუციონერების აზრს და ის მუდამ მიყვებოდა მხოლოდ ს.-დემოკრატიულ პარტიასო. რამიშვილი წინადადებას იძლევა დასტოვონ სეიმში დამფუძნებელ კრებაში არჩეული ხუთი დეპუტატი. მას მხარს უჭერს არზუმანოვი და შახატუნი.

კამათი სწყდება.

რამიშვილი ს.-დ. ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ მისცენ ს.-რევოლიუციონერებს 5 ადგილი.

წინადადებას კენჭს უყრიან.

წინადადებამ მიიღო 40 ხმა.

თავი შეიკავა—33 (ს.-რევოლიუციონერებმა და მუსავატმა). ამის შემდეგ ს. რევოლიუციონერთა პარტია ლორთქიფანიძის პირით პროტესტს აცხადებს და დარბაზიდან გადიან.

შემდეგ შეკითხვა შეაქვს სეიდოვს. ის ამბობს, რომ ერევნის გუბერნიაში საშინელი ამბები ხდება, სომხების ჯარმა ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით სრულიად გაანადგურეს სოფელი კომარლიუ და სხვა. სომეხ თათართა შეტაკება დაიწყო და საჭიროა სასწრაფო ზომები და იცის თუ არა ამის შესახებ რამე ამიერ-კავკასიის მთავრობამ ან რა ზომები მიიღო მან.

მოულოდნელათ ამ განცხადებამ მეტათ მწვავე და სხვა ხასიათი მიიღო, დაშნაკელების და მუსულმანთა პარტიების წარმომადგენლები ერთი მეორეს სდებდენ ბრალს. თათრები ყაჩაღობას სჩადიან და მათ წინააღმდეგ ზომებს მივიღებთო—ამბობდენ დაშნაკცაკანები ხატისოვის პირით. მუსულმანთა წარმომადგენელნი კიდევ ბრალს სდებდენ, რომ თათრების სოფლებს სომეხთა ჯარი ანადგურებს არტილერიით და ტყვიის მფრქვეველებითო.

ტრიბუნაზე ადის ნოე ჟორდანია.

**ნ. ჟორდანია.** ყველაფერი ის, რაც ეხლა და გუშინ აქ ითქვა, ყველა ეს ცნობები ჩვენ გვესმის ყოველ დღე და ვკითხულობთ გაზეთებში. ჩვენ ანარქიის ქარ-ბუქში ვართ გახვეული და ეს ანარქია თანდათან ეროვნულ ხასიათს ღებულობს. საჭიროა ამ ანარქიასთან ბრძოლა, მაგრამ რით და როგორ? სეიმის წევრი საფიკიური ამიერ-კავკასიის კომისარიატს უსაყვედურებს, რომ ის ზომებს არ ღებულობს და იმას კი არ კითხულობს აქვს რაიმე ძალა ამ კომისარიატს? არის ამიერ-კავკასიის კომისარიატის განკარგულებაში რაიმე ძალა? არა. თუ გნებავთ, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატმა რაიმე ზომები მიიღოს მიეცით მას ეს ძალა, მიეცით უფლება მას ემორჩილებოდენ ჯარის ის ნაწილები, რომლებიც მიდიან სადღაც და სად კი არ ვიცით. შევადგინოთ ძლიერი მთავრობა და მივსცეთ ყოველი საშუალება ებრძოლოს ანარქიას. დღევანდელი განცხადება მთელი რიგი ამბების ერთი ნაწილია, ასეთი ცნობების შესახებ საჭიროა ამ ტრიბუნიდან ლაპარაკი. საჭიროა შეერთებული ძალით ანარქიასთან ბრძოლა. ეხლავე უნდა აირჩეს კომისია დამნაშავეების დასასჯელათ. თუ თქვენ გინდათ ასეთ ამბებს ადგილი არ ქონდეს—მიმართავს ის დაშნაკცაკანებს—მიიღეთ ზომები იმ ჯარის ნაწილების წინააღმდეგ, რომლებიც არტილერიით მიდიან სოფლების ასაკლებათ. ჩვენმა ქართველმა ჯარისკაცებმა არეულობა მოახდინეს, ჩვენ მათ იარაღი ავყარეთ, აყარეთ თქვენც სომხებო იარაღი თქვენ ჯარებს.

შემდეგ ლაპარაკობენ გეგეჭკორი, გობეჩია და ჯაფაროვი.

წინადადება შეაქვთ კამათის გაგრძელება მეორე დღისთვის გადასდონ. წინადადებას ღებულობენ და კრებაც იხურება.

## კავკასიის მუშათა, ჯ.-კ. და გლეხთა დეპ. საბჭოთა ცენტრში

(19 თებერვლის სხდომა)

12 მარტს (ახ. სტ.) ქ. მოსკოვში დანიშნულია სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მე-4 ყრილობა, რომელმაც უნდა იქონიოს მსჯელობა ზავის შესახებ. რადგანაც საჭიროა ამ ყრილობაზე გაისმას ამიერ კავკასიის დემოკრატიის სამართლიანი ხმა ბალშევიკების დამღუპველ პოლიტიკის წინააღმდეგ დემოკრატიულ რუსეთის შეგნებულ ნაწილთან ერთათ, რათა ხაზგასმით აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამიერ კავკასიის დემოკრატიას ყოველთვის უნდოდა კავშირი ჰქონებოდა დემოკრატიულ რუსეთთან, კავკასიის ცენტრი საჭიროთ სთვლის გაიგზავნოს ამ ყრილობაზე ამიერ კავკასიის საბჭოთა წარმომადგენლები. ამის შესახებ სასწრაფოთ ეცნობება ადგილობრივ საბჭოებს, რათა მათ აირჩიონ და გაგზავნონ წარმომადგენლები მოსკოვში.

### ცენტრი და სეიმი.

თუ როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ამიერ კავკასიის სეიმსა და კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლიუციონურ ცენტრს შორის, თუ რა ფუნქციების მატარებელი უნდა იყვეს ეს ორი ორგანო,—ამ საკითხმა გამოიწვია დიდი და ცხარე კამათი.

**ამხ. ვ. ჯუღელი.** მე დიდი მომხრე ვიყავი სეიმის და თითქმის ასეთივე მომხრეთ ვრჩები ეხლაც. ვამბობ „თითქმის" იმიტომ, რომ სეიმში თანდათან ირკვევა ისეთი ტენდენცია, და ტენდენცია საკმაოთ მძლავრი, რომ მის მემარცხენე ფრთას განსაზღვრული საფრთხე მოელის. ამ მოსაზრებით მე იმ დასკვნას ვადგები, რომ ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა მთავარი ყურადღება ცენტრს მივაპყროთ და როგორც დღემდის, ისე დღესაც განვაგრძოთ ამ რევოლიუც. ორგანოზე დაყრდნობა. რევოლიუციონური ცენტრი დღემდის მედგრათ იცავდა დემოკრატიის ინტერესებს და დარაჯათ ედგა რევოლიუციას ამიერ-კავკასიაში. და თუ ჩვენ ისეთივე ყურადღებით მოვეპყრობით ამ ცენტრს, როგორც დღემდის ვეკიდებოდით, მაშინ გვაზავას—ამ მხატე პოლიტიკოსის — გამოლაშქრება რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ ჩვენ არ შეგვაშინებს... ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ძალა-უფლება სეიმს ეკუთვნის; მაგრამ მის მოქმედებას, მის ყოველ ნაბიჯს კონტროლს უნდა უკეთებდეს კავკასიის ცენტრი. თუ სეიმი უღალატებს დემოკრატიის ინტერესებს!, მაშინ ჩვენ მასთან ბრძოლა მოგვიხდება... ჩვენ არ ვიღებთ ხელს არც ერთ იმ უფლებებზე, რომლითაც დღემდის ვიყავით აღჭურვილი; და თუ შეტაკება მოგვიხდება, მე მრწამს, რომ გამარჯვებული სეიმი გამოვა (ტაში).

**ჩემოდანოვიც** ს. რევოლიუციონერების სახელით აცხადებს, რომ საჭიროა ცენტრმა კონტროლი გაუწიოს სეიმის მოქმედებას. მას ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენია, როგორ ფორმებში ჩამოისხმება სეიმისა და ცენტრის მომავალი ურთიერთობა, მაგრამ ის კი ნათელია, რომ რევოლიუციონურ ცენტრმა უნდა განაგრძოს მოქმედება ამიერ-კავკასიის დემოკრატიის საკეთილდღეოთ. თუ სეიმი უღალატებს დემოკრატიის ინტერესებს, მაშინ ორატორის აზრით, ცენტრს მოუხდება მასთან ბრძოლა.

**ი. ქარცივაძე** (ს. რ.) სეიმის იდეის, როგორც ამიერ-კავკასიის მთლიანობის იდეის წინააღმდეგი არავინ არ ყოფილა, მაგრამ დღეს უნდა აღინიშნოს, რომ მდგომარეობა ძალზე ტრაღიკულია. სეიმის სხდომებზე გამოირკვა, რომ იქ გვაზავას და კომპ. სახით ნათლათ იხატება დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ტენდენცია... ძალა-უფლებით აღჭურვილ ორი ცენტრის ერთ ჭერ ქვეშ მოთავსება შეუძლებელია. თუ ჩვენ დღეს აქ გამოვიტანთ რეზოლიუციას, რომელშიაც გატარებული იქნება ფორმულა—„რამდენათ იმდენათ", ამით ჩვენ ერთგვარ უნდობლობას გამოვუცხადებთ სეიმს, რაც არა სასურველ გავლენას მოახდენს ამიერ-კავკასიის მთლიანობის იდეაზე... ამიტომ,—ორატორის აზრით,—საჭიროა ცენტრმა დღეს არავითარი რეზოლიუცია არ გამოიტანოს და აცალოს სეიმს მუშაობა. თუ, სამწუხაროთ, სეიმი უღალატებს რევოლიუციას, მაშინ მოგვიხდება მასთან შებრძოლება და ერთათ-ერთ ცენტრათ მუშათა და გლეხთა ცენტრი უნდა გადაიქცეს. ამ წინადადებას იცავს მალხაზოვიც.

**ანდრეევი.** საკითხი ცენტრის და სეიმის ურთიერთობის შესახებ—ეს ამიერ-კავკასიის მთლიანობის დაცვის საკითხია. აშკარათ ირკვევა, რომ სეიმის შემადგენლობა ნაციონალისტურია. ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ კლასიურ თვალთსაზრისით. ამის მიხედვით ჩვენში მთლიანობის დაცვა მხოლოდ მუშათა და გლეხთა ცენტრს შეუძლია... მაგრამ შემცდარია ქარცივაძის შეხედულება, რომელსაც ჰგონია, რომ ცენტრის და სეიმის არსებობა ერთათ ყოვლათ შეუძლებელია. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მიხედვით ჩვენშიაც უნდა შეიქნეს პარლამენტარული წესწყობილება. უნდა გვქონდეს ორი პალატიანი პარლამენტი. ცენტრი ზედა პალატათ უნდა გადაიქცეს; აქ მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები იქნებიან და დაიცავენ კლასიურ თვალსაზრისით ამიერ-კავკასიის მთლიანობას. სეიმი კი როგორც ოთხ ფორმულიან სისტემით არჩეული ორგანო, უნდა დარჩეს; მხოლოდ იგი უნდა შეადგენდეს ქვედა პალატას. ამრიგათ დასავლეთ ევროპის პარლამენტებთან შედარებით ჩვენი პარლამენტის განსხვავება მის კონსტრუქციაში იქნება: დასავლეთ ევროპის ქვედა პალატა აქ ზედა პალატა იქნება და პირიქით. ამნაირათ შეიძლება, ორატორის აზრით, ამ ორმა ორგანომ იარსებოს.

**ამხ. ნოე ჟორდანია.** ჩვენ ორი ცენტრი გვაქვს. საჭიროა გამოირკვეს მათი ურთიერთობის დამოკიდებულება. ბევრი იმას ფიქრობს, რომ შეუძლებელია ორივე ორგანოს ერთდროულად დროს არსებობა; მათი აზრით ან ერთმა უნდა იარსებოს, ან მეორემ. ასეთი შეხედულება შემცდარია. შემცდარია აგრეთვე ანდრეევის შეხედულებაც. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მომხდარ რევოლიუციების ისტორიას, დავინახავთ, რომ ასეთი ცენტრები ამ რევოლიუციების დროს არსებობდენ და ერთად მოქმედებასაც ახერხებდენ. ასე იყო საფრანგეთის დიდ რევოლიუციის დროსაც. და ჩვენ ვიტყვით, რომ ორი ცენტრის არსებობა არა თუ შესაძლებელი—აუცილებელიცაა. მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რა კომპეტენციებით უნდა იქნენ აღჭურვილნი ეს ორგანოები. საფრანგეთში მუნიციპალიტეტი რევოლიუციონურ ცენტრს წარმოადგენდა. ასეთივე რევოლიუციონურ ცენტრის როლს უნდა თამაშობდეს ჩვენი მუშათა და გლეხთა ცენტრიც. სეიმი იქნება იურიდიული, კონსტიტუციონური ცენტრი. ისტორიიდან ვიცით აგრეთვე, რომ რევოლიუციონური ცენტრი ყოველთვის განსაზღვრულ გავლენას ახდენდა კონსტიტუციონურ ცენტრზე. რევოლიუციონურ ცენტრის დანიშნულება იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ თვალყური ადევნოს, რათა კონსტ. ცენტრმა გააკეთოს ეს და არა ის საქმე, იმოქმედოს ასე და არა ისე. ჩვენ, რევოლიუც. ცენტრს, არ შეგვიძლია შევქმნათ იურიდიული ნორმები, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და უნდა გამოვხატოთ მოთხოვნილებები, რომელსაც დემოკრატიის ცხოვრება, მისი ინტერესები მოითხოვენ. ქარცივაძე ამბობს, რომ დავუცადოთ, როგორ მიმართულებას მიიღებს სეიმის მუშაობაო. ეს ბალშევიკური თვალთახედვის ისარია: ბალშევიკებიც ასე ამბობდენ, დავუცადოთ რას იზამს დამფუძნებელი კრება; თუ მან ჩვენი მუშაობა გაამართლა—კარგია; თუ არა გავრეკავთ შევებრძოლებითო. ეს არ არის დემოკრატიული შეხედულება. თუ ჩვენ ნდობას გამოუცხადებთ სეიმს,—ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ჩვენი მუშაობა. მართალია, სეიმის შემადგენლობა ნაციონალისტურია (სეიმის წევრთა საერთო რიცხვი 131 უდრის; მათ შორის 55 სოციალისტია). მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ, შევურიგდეთ ამას: თუ ჩვენ ვსცნობთ დემოკრატიულ არჩევნებს, უნდა ვიცნოთ ისიც, თუ რა მოგვცა ამ არჩევნებმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ბალშევიკებივით მოგვივა... ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ გარემოებას: ერთია სეიმი, როგორც იდეა და მეორე მისი შემადგენლობა. სეიმის ძირითადი დანიშნულება ამიერ-კავკასიის ცენტრით მსრბოლ ძალების შეჩერებაა. სეიმიდან რომ „მუსავატი" გავიდეს, თქვენ დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ იქ—აღმოსავლეთ კავკასიაში წარმოუდგენელი სისხლის ღვრა დაიწყება. თუ ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ ხოცვა-ჟლეტა და სისხლის ღვრა,—მხარი უნდა დაუჭიროთ სეიმს. ამავე მოსაზრებით მთავრობის შედგენის დროს ჩვენ მოგვიხდეს შეიძლება, კოალიციის მიღებაც, რომელიც სხვა შემთხვევაში,—იმ შემთხვევაში, რომ საქმე არ გვქონდეს მრავალ ნაციასთან, ჩვენთვის მიუღებელი და მაზარალებელი იქნებოდა. თქვენ იცით, რომ ერევნის გუბერნიაში უკვე ორი ფრონტია... ამ მოსაზრებების ძალით ჩვენ იძულებული ვართ შევურიგდეთ გლახა სეიმის არსებობას... მე არა ვარ იმის მომხრე, რომ არ გამოვიტანოთ რეზოლიუცია: ცენტრმა, როგორც რევოლიუციის ორგანომ, უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება სეიმთან. რეზოლიუციის გამოუტანლობა—ეს სიკვდილის აჩრდილს დაემსგავსებოდა. ჩვენ სულაც არ გვინდა მუშაობა შევსწყვიტოთ და სასიკვდილოთ მოვემზადოთ (ტაში).

ცენტრმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ამიერ-კავკასიის სეიმი შექმნილია რევოლიუციონურ ორგანიზაციების ნებით და კავკასიის ცენტრი მხარს დაუჭერს მას დემოკრატიულ ზავის განხორციელების, ხალხისთვის მიწის უსასყიდლოთ გარდაცემის და ყველა სოციალურ პოლიტიკურ მოთხოვნილებათა ცხოვრებაში გატარების საქმეში, რაც რევოლიუციონურ ორგანიზაციების წითელ დროშაზეა გამოხტული.

კავკასიის ცენტრი იტოვებს ყველა რევოლიუციონურ უფლებებს დემოკრატიის შეკავშირებისა და მისი მოთხოვნილებების ცხოვრებაში გატარების საქმეში, როგორც სეიმში, ისე სეიმის „გარეთ". (რეზოლიუციას ხმა მისცა 31, წინააღმდეგ 1, თავი შეიკავა 15-მა).

ამის შემდეგ კრება გადადის იმ საზავო დირექტივებზე, რომლებითაც ჩვენი დელეგატები იხელმძღვანელებენ მოსკოვის ყრილობაზე. მცირე კამათის შემდეგ ცენტრი იღებს სეიმის მიერ მიღებულ საზავო პირობებს. სრულიად რუსეთის საერთო ზავის პირობების შესახებ ცენტრი დელეგატებს არავითარ დირექტივებს არ აძლევს.

ბოლოს ცენტრმა იქონია მსჯელობა სეიმის ფრონტის დელეგატების შესახებ და ხმის უმეტესობით მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ცენტრი პროტესტს აცხადებს სეიმის მოქმედების წინააღმდეგ.

ემჩენ.

## მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბჭოთა მესამე ყრილობა

13 იანვრის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა სპირიდონოვის ქალმა, რომელმაც სთქვა, ჩვენ დიდი შეცდომა ჩავიდინეთ, როცა მასსას მოუწოდებდით დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ, მაგრამ ხალხმა ჩვენს გარეშე გამოქედა ახალი მმართველობის ფორმა—საბჭოები.

ყრილობას შემოუერთდა გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა, რომლის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ზინოვიევმა. ამ გარემოებამ გამოიწვია ხანგრძლივი ტაში, ოვაციები, იმღერეს მარსელიოზა.

ამის შემდეგ საზავო მოლაპარაკების შესახებ სიტყვას ამბობს ტროცკი. საბჭოთა მთავრობის პირველი სიტყვა,—ამბობს იგი,—იყო ზავის შესახებ დეკრეტი. ამას მაშინ დემონსტრაციას უწოდებდენ, მაგრამ ჩვენი მიზანი გამოგვეფხიზლებია მშრომელთა შეგნება, შესრულებულ იქნა, ჩვენ მივაღწიეთ დროებით ზავს და ჩვენი ბრალი არ არის თუ ახლა მოლაპარაკება ჭიანურდება, თუ მას სეპარატიული ხასიათი აქვს. დამნაშავენი არიან ამაში ისინი, ვინც ყველაფერს აკეთებდა საბჭოთა მთავრობისათვის ხელის შესაშლელათ.

შემდეგ ტროცკი დაწვრილებით მოუთხრობს დამსწრეთ სამშვიდობო მოლაპარაკების მსვლელობას, განსაკუთრებით დაწვრილებით შეჩერდა მოლაპარაკებაში უკრაინელების მონაწილეობაზე. ტროცკი ბრალს სდებს რადას, მას სურდა დემოკრატიის ზურგს უკან ჩამოეგდო, ავსტრო-უნგრეთთან საიდუმლო ხელშეკრულებაო. შეადარა რა დამფუძნებელი კრება და რადას პოლიტიკა, ტროცკიმ სთქვა, ძალა-უფლება რომ დამფუძნებელ კრების ხელში გადასულიყო, ეს იქნებოდა პეტლიურისა და ვინნიჩენკოს ძალა-უფლებაო. შეეხო რა თვით მოლაპარაკებას, ტროცკიმ განაცხადა, რომ მოლაპარაკებას ჰქონდა არსებითათ თეორიული პოლემიკის ხასიათი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. ყველაზე მწვავე იყო საკითხი დაპყრობილ ადგილებიდან გერმანელთა ჯარების გაყვანის შესახებ და თითქმის თავდაჭერილ სტატს-სეკრეტარ კიულმანმაც აქ დაკარგა სიდინჯე და განაცხადა, ჯარების გამოყვანის საკითხს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ერთა თვითგამორკვევასთანო. შეეხო რა გერმანელების მოთხოვნილებებს, ტროცკიმ გაშალა რუქა და აღნიშნა, რომ მომავალი საზღვარი გაივლის ფინეთის ყურედან მოონზუნდის კუნძულების აღმოსავლეთით, შემდეგ რიგის ყურის ნაპირებზე, ჩამოაშორებს ლატვიას რიგას, გაივლის შემდეგ მდ. დვინის გასწვრივ დვინსკამდე, შემდეგ გამართება ვილნოს აღმოსავლეთით, შეუერთებს ლიტვას ბელორუსიის მაზრების ნაწილს და ბოლოს მიებჯინება ბრესტ-ლიტოვსკს. ბრესტ-ლიტოვსკის სამხრეთით საზღვრები გამოირკვევა უკრაინის რადასთან მოლაპარაკებაში.

— ხოლმის გუბერნიები,—ეკითხება ადგილიდან აბრამოვიჩი.

— ეს საკითხი არ წამოუყენებიათ,—უპასუხებს ტროცკი და განაგრძობს: მე არ შევჩერდები ამ საზღვრის სტრატეგიული თვალსაზრისით გაკრიტიკებაზე. სამხედრო სპეციალისტებს იგი ყოველ მხრივ დამღუპველათ მიაჩნიათ. ეკონომიური თვალსაზრისით ეს საზღვარი ანიჭებს გერმანიას ბალტიის ზღვაზე ბატონობას. ეს ცოტაა. პოლონეთი ჩამოშორდება რუსეთს ისეთი ადგილით, რომელიც არ შევა მის შემადგენლობაში. პოლონეთი გარშემორტყმული იქნება გერმანიის მიერ იარაღით შემოერთებულ ადგილებით. ლატვია ორ თანასწორ ნაწილათ იყოფა. ესტონეთს სცილდება მოონზუნდის კუნძულები.

რაც შეეხება კონტრიბუციას, ჩვენი გამოანგარიშებით გერმანია ფაქტიურათ თხოულობს 4—8 მილიარდამდე.

დამახასიათებელია, რომ გერმანიის პირობებმა ჩუმი დასტური მიიღო ლონდონში. ამის შესახებ აშკარათ სწერენ გერმანიის გაზეთები. ინგლისს, რომელიც დარწმუნდა იმაში, რომ გერმანიის დამარცხება არ შეიძლება, ურჩევნია გერმანიამ თავის მადა დაიკმაყოფილოს რუსეთის ხარჯზე. ეხება რა რუმინიასთან კონფლიქტს, ტროცკი აცხადებს, რუმინია ცდილობს შეიერთოს ბესარაბია. რუმინელები ხვრეტენ და აპატიმრებენ ჩვენს კომისარებს. გალაცთან აგერ ორი დღეა, რაც ჩვენს ორ დივიზიას ხვრეტენ და ყველაფერი ეს ხდება პარიზისა და ლონდონის აშკარა მოწონებით.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო—ამბობს ტროცკი—რომ თქვენ მოიწონებთ იმ ზომებს, რომლებიც მიიღო სახალხო კომისართა საბჭომ. ჩვენ გადავსწყვიტეთ არავის მივცეთ რუმინიის ოქროს ფონდი 1 მილიარდი და 200 მილიონი, რომელიც ინახება მოსკოვში. ჩვენ გადავსწყვიტეთ რუსეთის საზღვრებიდან გავაძევოთ რუმინიის ელჩები. ჩვენ გადავსწყვიტეთ გამოვაცხადოთ გენ. შჩერბაჩოვი კანონს გარეშე. (ამ განცხადებებს ყრილობა მქუხარე ტაშით ფარავს).

მიუთითებს რა შემდეგ იმაზე, რომ რუმინიის პოლიტიკას იწონებენ ჩვენი მოკავშირენი, ტროცკი აცხადებს, რა ხრიკებსაც არ უნდა მიმართონ იმპერიალისტებმა, ჩვენ მივაღწიეთ ერთ რამეს—მათ იმპერიალისტურ ომიდან ჩვენ გამოვედით და არ შევალთ მასში არც შემდეგ. სამშვიდობო მოლაპარაკების 10 დღით შეწყვეტა ჩვენ მოვითხოვეთ იმიტომ, რომ მიგვეცა ყველასათვის საშუალება დაეფასებიათ გერმანელების მიერ წარმოდგენილი პირობები. ამ 10 დღეს ტყვილა არ ჩაუვლია. ავსტრიის ერთ ნაწილში რევოლიუციონური მოძრაობა არის ბრესტ-ლიტოვსკში გამართულ მოლაპარაკების შედეგი. ჩერნინმა უკვე განაცხადა, რომ იგი არ შესწყვეტს მოლაპარაკებას ანექსიონისტურ მოთხოვნილებებისათვის. მე არ შემიძლია თქვენ სისწორით გითხრათ, რა ფორმით გაგრძელდება შემდეგი მოლაპარაკება. საჭიროა მოქნილი ტაქტიკა მოქნილი ფორმით, პრინციპიალურათ მტკიცე შინაარსით. ჩვენ არ ვიცით რას მოვიტანთ სახლში, მაგრამ ჩვენ მივდივართ იმ განზრახვით, რომ გავათავისუფლოთ ომისაგან ჩვენი ჯარი, განვაგრძოთ ჩვენ მიერ დაწყებული დემობილიზაცია და არ მოვაწეროთ ხელი იმპერიალისტურ ზავს. როგორიც არ უნდა იყოს მახლობელ დღეების შედეგი—ეს უკანასკნელი შედეგი არ იქნება. დეე; სხვებს ჰქონდეთ მოკავშირეთა იმედი, ჩვენ გვყავს სხვა მოკავშირენი—საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელიც, ჩვენ თუ დავეცით, აგვაყენებს ჩვენ, შეაფასებს და გაასწორებს ჩვენს შეცდომებს. (მქუხარე ტაში, იმღერიან მარსელიოზას).

14 იანვრის სხდომაზე პირველი სიტყვა ეძლევა ი. კამენევს.

დღემდის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს—ამბობს იგი—დავა სწარმოებდა ტერიტორიის შესახებ, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს ამა თუ იმ სახელმწიფოს. ჩვენ თავიდანვე განვაცხადეთ, რომ არ ვსცნობთ რუსეთის იმპერიის ძველ საზღვრებს, რომ ეს საზღვრები უკვე მოისპო არა იმიტომ, რომ გერმანელებმა დაამარცხეს რუსი გენერლები, არამედ იმიტომ, რომ მუშებს და გლეხებს არ შეუძლიათ დაიპყრონ ეს ადგილები, თუ არ იციან ამ ადგილების მცხოვრებთა სურვილი. ჩვენ ყველას გასაგონათ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ვიცავთ საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს და ამიტომ მხარს უჭერთ ჩეხებს ავსტრიის იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, გერმანიის პროლეტარიატს—ინგლისის იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩვენი მიზანია წვრილ სახელმწიფოების აღდგენა იმ იმედით, რომ ეს გააერთიანებს ყველა ერთა პროლეტარიატს ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

შემდეგ ვრცელ სიტყვას ამბობს ამხ. **ლ. მარტოვი.**

ჩვენ—ამბობს იგი—გვაღელვებს საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოუვა საზავო მოლაპარაკებას, რომელმაც ჩვენ ჩიხში ჩაგვაყენა. ტროცკის მოხსენებიდან ჩვენ ვიცით, რომ ბრესტში ორი თვალთა ხედვის ისარი დაუპირისპირდა ერთი მეორეს: რევოლიუციონური, რომელსაც სახალხო კომისართა საბჭო წარმოადგენდა, და იმპერიალისტური გერმანიის და მისი მოკავშირეების თვალთა ხედვის ისარი.

გერმანელ და ავსტრიელ დიპლომატებმა ბევრი ცდის შემდეგ, რომ დაეფარათ მოლაპარაკების შინაარსი, ბოლოს ყველაფერი აშკარათ სთქვეს, ტროცკიმ საკმაო ნათლათ დაგვისურათა მოლაპარაკება, როდესაც განაცხადა, რომ მეტი დათმობა შეუძლებელიაო. გერმანელებმაც ნათლათ სთქვეს, რომ მოლაპარაკების მეტ გადადებას არ დაუშვებენ. მათი პირობები ან მიღებული ან უარყოფილი უნდა იქნას. სახალხო კომისართა საბჭო ვალდებულია გადაჭრით სთქვას: რა უნდა აკეთოს შემდეგ დელეგაციამ, როგორ გამოცხადდება იგი ბრესტში ორი დღის შემდეგ, როდესაც გერმანელების მიერ დანიშნული დრო გავა. პასუხი მხოლოდ ერთად-ერთი შეიძლება: გერმანელების საზავო პირობები რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიისათვის მიუღებელია (ტაში). ყრილობამ ეს აშკარათ უნდა განაცხადოს; მან ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ ეს პირობები მიუღებელია არა მარტო იმიტომ, რომ ამით ლახვარი ჩაეცემა ჩვენს ეკონომიურ განვითარებას და მთელ რუსის ხალხს, არამედ იმიტომაც, რომ აქ ლაპარაკია მთელ რიგ ერებზე, რომლებმაც თავის ბედი რუსეთის რევოლიუციის ბედს დაუკავშირეს.

აქ ორი აზრი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ჩვენი ინტერესების გულისთვის მსხვერპლათ შევსწიროთ პოლონეთი და ლიტვა. მაშ, რა უნდა ვქნათ?

ტროცკიმ და კამენევმა განაცხადეს, რომ მათ შეურყევლათ სწამთ მთელი ქვეყნების პროლეტ. დახმარება. და, მართლაც მხოლოდ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გავლენა, განსაკუთრებით ცენტრალურ სახელმწიფოების პროლეტარიატისა მოაახლოვებს საერთაშორისო ზავს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რამდენათ გაფართოვდება ეს გავლენა და როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ავსტრო-გერმანელები ჩვენ გვიპასუხებენ: „თქვენ არ მოგწონთ ჩვენი საზავო პირობები; მაშინ ჩვენ ომს ვაგრძელებთო"!

ჩვენ გვგონია, რომ საბჭოთა მთავრობამ ძალიან ცოტა გააკეთა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მუშათა კლასის შეგნება გაეძლიერებია. მან მხოლოდ მოწოდებით მიმართა საზავო მოლაპარაკებას ვიწყებთო, მაგრამ ეს თავის თავათ კიდევ არაფერს არ ამტკიცებს. ეს ისედაც კი შეიძლება გაიგონ, რომ რუსეთს არ შეუძლია ომის მეტი გაგრძელება და ინგლისს და საფრანგეთს თავის ანაბარა სტოვებს. უეჭველია, ამ გარემოებამ დიდათ შეაფერხა იქაურ მასსის თავიანთ მთავრობებზე გავლენის მოხდენის საქმე, თვით მემარცხენე ს.-რევოლიუციონერი მსტისლავსკი თავის წიგნში „მოლაპარაკება ბრესტში" უსაყვედურებს პრაპორშჩიკ კრილენკოს, რომ მისი ბრძანება იმის შესახებ, რომ თვითეულ ჯარისკაცს ყველგან შეუძლია დროებით შერიგება მოაწყოს, კერძოთ გერმანელ ჯარისკაცთან,—ეს ბრძანება მეტათ ასუსტებს რუსეთს. ამან დაანახვა გერმანელ დიპლომატებს, რომ რუსეთმა გაათავა ომი, რომ მას ომის განახლება არ შეუძლია და მზათ არის მიიღოს გერმანელების საზავო პირობები, როგორიცარ უნდა იყოს იგი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი შეცდომა იყო ის, რომ თვითეულ ჯარისკაცს შეეძლო როგორც უნდოდა და როდესაც უნდოდა ფრონტი მიეტოვებია. მგონი, საჭირო არაა იმის მტკიცება, რომ უკანასკნელ დრომდის საჭირო იყო პოზიციებზე დარჩენა, რადგანაც მაშინ გერმანიას ეცოდინებოდა, რომ თუ მეტათ სამარცხვინო და დამამცირებელ საზავო პირობებს წამოაყენებდა, ჩვენს ფრონტზე მას ისევ შეხვდებოდა მაგარი სანგრები და მძიმე არტილერია.

სახალხო კომისარებს სურთ, რათაც უნდა დაუჯდეთ, მასსაში პოპულიარობით ისარგებლონ. (ატყდება საშინელი ხმაურობა; ყვირიან: „კმარა"! „ძირს"! მარტოვი ლაპარაკს განაგრძობს, მაგრამ ხმაურობის გამო არაფერი არ ისმის. ორატორი ამაოთ ცდილობს დაარწმუნოს მოხმაურენი, რომ საჭიროა მოუსმინონ თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რასაც უნდა ლაპარაკობდეს იგი. თავმჯდომარე მომეტებულათ არაწკუნებს ზარს, მაგრამ მაინც ვერ აწყნარებს დამსწრეთ).

მე ყველას გასაგონათ ვაცხადებ,—განაგრძობს მარტოვი და ცდილობს ხმაურობა დაფაროს,—რომ სახალხო კომისართა საშინაო პოლიტიკა აგდებს რუსეთის რევოლიუციას გამოუვალ მდგომარეობაში (ტაშის ცემა; ხმაურობა).

ჩვენ მანამდე არ შეგვიძლია გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა,—ათავებს მარტოვი,—სანამ მთავრობა უფრო ფართე ბაზას არ დაეყრდნობა, იგი უნდა დაეყრდნოს დემოკრატიის ფართე წრეებს; მაშინ შეეშინდება გერმანიას რუსეთის რევოლიუციის და თავხედ პასუხების ნაცვლათ იძულებული იქნება ჩვენთან დემოკრატიული ზავი შეკრას (ტაშის ცემა).

## სოც.-დემ. პარტიაში

ხ. [illegible] (გურია). 11 თებერვალს ადგილობრივ სკოლის დარბაზში შესდგა პარტიის წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო 350-მდე კაცი.

განსახილველად იყო შემდეგი კითხვები: 1, თანამედროვე მომენტი. 2, კომიტეტის მოხსენება. 3, მობილიზაცია. 4, პარტიული წრეების მოწყობა. 5, არჩევნები ცენტრალურ კომიტეტში. [illegible]

[illegible] თის რევოლიუციონური დემოკრატია და მით რევოლიუცია მიიყვანა უფსკრულის პირამდე, კრება მოითხოვს დაუყონებლივ შეწყვეტილ იქნას ხოცვა-ჟლეტა თვით დემოკრატიის შორის, რომ მით ვიხსნათ რევოლ. და ხალხი დაღუპვისაგან. სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ იმ დაქირავებულ წითელ-გვარდიელების წინააღმდეგ, რომლებიც დღეში 30—35 მან. იღებენ, რომლებმაც არ დაინდვეს სოციალისტებისაგან შემდგარი დამფუძნებელი კრება და 5 იანვარს ცხელი ტყვიით გაუმასპინძლდენ უიარაღო დამფუძნებელ კრების დამცველ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიმღებ სოციალისტებს. კრება სრულ ნდობას უცხადებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს და ესალმება სეიმს, რომლის წინაშე ფიცსა სდებს იარაღით ხელში დაიცვას მოპოვებული თავისუფლება".

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც აღწერს პარტიულ მუშაობას და აღნიშნავს იმ დაბრკოლებებს, რომელიც აფერხებს მას.

კრება ერთხმათ იწონებს კომიტეტის და კოლექტივის მუშაობას და მადლობას უცხადებს მათ წევრებს. მობილიზაციის შესახებ მომხსენებლათ გამოვიდნენ ამხ. ფოკა ცქვიტინიძე და ვასილ შარაშიძე. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება მობილიზაციის შესახებ და მივიღეთ რა მხედველობაში დღევანდელი განსაკუთრებული პირობები—სავსებით ვიღებთ ამ ზომას და მოვუწოდებთ ახალგაზრდებს დასაცავათ იმ ჩვენი ნორჩი თავისუფლებისა, რომელიც დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ დემოკრატიამ მოიპოვა". პარტიულ წრეების მოწყობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვლასი მამალაძე. მოხსენება კრებამ ერთხმათ მოიწონა. ცენტრალურ კომიტეტის წევრებათ კრებამ ერთხმათ აირჩია ამხ. ფოკა ცქვიტინიძე და პამფილ ბერიძე.

ანდრია ხარაზი.

## მუშათა შორის

სად. ძირულა (შორაპ. მაზრა). აქ არის აგურისა და საღებავის საფქვავი ქარხნები ამხ. „შრომა" და „კავგორტო". მუშაობს 200 მუშა. გამგეთ ითვლება ა. ზვენიგოროდსკი, რომელიც ცხოვრობს ქ. ქუთაისში. ზედამხედველათ კი პოპიტკოვი. ქარხნები თავდაცვაზე მუშაობენ. თვეში 33 ათასი ქურის აგური (огнеупорный) მზადდება. შენობების აგურები დღემდის აქ არ მზადდებოდა. საღებავს ეხლა აქ არ ამზადებენ, რადგან მისი მოთხოვნილება დროებით არაა, სამაგიეროთ იქ ხორბალსა ფქვავენ დღედა ღამეში ორი ჩარხი იძლევა 400 ფუთ ფქვილს. განზრახულია მესამეც მიუმატონ, ამ ხანად იფქვება თფ. რკ. გზის საფქვავი. ფუთის დაფქვა ღირს 1 მ. რაც აქაურ სხვა წისქვილებთან იაფია. აი ამ ქარხნების მუშებს ამ დღეებში უფროსისათვის წარუდგენიათ მოთხოვნილება. დღიურზე რომლებიც იღებენ 4 მ. 100 პროც. თვიურათ 50 პროც. ესენი იღებენ 75 მ.-დან 150 მანეთამდი და ოთახი გათბობა-განათებით. 2) ავათმყოფობის დროს დახმარება. 3) მიეცეს 3 თვის ჯამაგირი ადმინისტრაციის მიერ დათხოვნილს ელექტრო ტეხნიკ ანუ სკლადონოვსკის. 4) დათხოვნის დროს მუშებს მიეცეთ 3 თვის და სხვ. მე ვფიქრობ ეს მოთხოვნილება გადაჭარბებული არაა, და დაკმაყოფილებას მოითხოვს. მაგრამ მუშები ამ შემთხვევაში არა ორგანიზაციულად მოქმედებენ, თავიანთი მოთხოვები საბჭოსთვისაც არ უცნობებიათ, მაშინ როდესაც სულ 40 წუთის გზა აქვთ საბჭომდი და გაფიცვა გამოუცხადებიათ, რაც ამ მძიმე დროს არა რევოლიუციონურად უნდა ჩაითვალოს. წისქვილი კი მუშაობს, სადაც 6 კაცია დარჩენილი. ეს გაფიცვა შემთხვევით გაიგო თფილისიდან ჩამოსულმა კრ. ცენტრის წევრმა, რომელიც მივიდა გამოსაძიებლათ იმ კონფლიკტისა, რომელიც მოხდარა 16 ქრისტეშობისთვეს 1917 წ. ამ ქარხნის გამგე ზედამხედველსა და ყვირილის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე საყვარელიძის შორის,—რაც იყო გამოწვეული ერთი ვაგონი სიმინდის უკანონო განაწილებით ქარხნის მუშათა და მცხოვრებთა შორის. 16 თებერვალს კრ. ცენტრის წევრის გამოძიებამ დაამოწმა, რომ ზედამხედველი კოპიტკოვი ღირსი იყო იმ სასჯელისა, რაც მან უკვე მოიხადა, შემდეგ მიეცეს მას გაფრთხილება, რომ აღარ გადადგას მსგავსი ნაბიჯი. გამგეს ა. ზვენიგოროდსკის მოეხსნას დაპატიმრება, მაგრამ გამოეცხადოს სასტიკი საყვედური იმ პროვოკაციული ნაბიჯისათვის, რომელსაც შეეძლო სამწუხარო შედეგი მოყოლოდა. გამოეცხადოს შემდეგისთვის სასტიკი გაფრთხილება, თანაც ნება ეძლევა აწარმოოს ქარხნები; ამ შეხედულებას იზიარებს ყვირილის აღმასრულებელი კომიტეტი.—ამ დღესვე ქარხნის ადმინისტრაციასა და მუშათა წარმომადგენელთან ყვირილის აღმასრ. კომიტეტის წევრის პ. დევიძისა და კრ. ცენტრის წევრის თანადასწრებით იქონიეს მუშათა მოთხოვნების შესახებ თათბირი, საჭიროდ იქნა ცნობილი 1) ეს კითხვა გადაეცეს მომრიგებელ კამერას და რასაც გადაწყვეტს სისრულეში მოვიდეს ამა წლის თებერვლიდან. 2) ეთხოვოს მუშებს შეუდგენ მუშაობას.

ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ყვირილის მ. ჯ. და გლეხთა აღმასრულებელმა კომიტეტმა. და მიიღო თავის თავზე საქმის წარმოება.

სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ აქ სხვა არა სასურველ მოვლენასაც ქონია ალაგი როგორიცაა მუშათა წითელი გვარდიისთვის იარაღის გადაცემა, როცა ორგანიზაციულათ ვერ ყოფილა მოწყობილი, რასაც შეეძლო ძმათა შორის გამოეწვია არა სასურველი შედეგი,—მაგრამ მომავალში იმედია ამხანაგი მუშები გამოძებნიან საერთო ენას და შეგნებულათ აწარმოებენ საქმეს.

დ. ი. ლორთქიფანიძე.

## წერილი გურიიდან

სხვა მხრიდან მოსულები გურიაში თავს არხეინად გრძნობენ და ასე მოგახსენებენ, ასე მშვიდად, ასე მყუდროთ არავინ არ ცხოვრობსო. მიუხედავათ ამისა თვით გურულები მაინც არ ვართ კმაყოფილი. ამის მიზეზი კი ბრძანდებიან (უმთავრესად) შინ დაბრუნებული ჯარისკაცები, რომლებიც თავიანთ გმირობას და „მამულის" სიყვარულს თოფის სროლით, აურ-ზაურით და წესიერების დარღვევით ხატავენ. მყუდრო ცხოვრებას არღვევენ უმთავრესად ქ. ოზურგეთში, გურიის მთავრობის ცენტრში. სოფლელებმა შესძლეს და დაბრუნებულ ჯარისკაცებს იარაღი ჩამოართვეს, ოზურგეთი კი ჯერ ერიდება და ჯარისკაცთა გამოფხიზლების იმედი აქვს. ოზურგელი მოქალაქენი და მოსწავლე ახალგაზრდობა გვარდიაში ჩაიწერენ და ფხიზლად არიან: 12 თებერ. ღამის 10 საათზე დაჰკრეს გამოსასვლელი განგაში (тревога), რომელმაც მოლოდინს გადააჭარბა და დაამტკიცა, რომ გვარდიელები თავის დროზე შესძლებენ გამოსვლას. გვარდიელებს ჯარისკაცები (ზოგიერთი) კარგი თვალით არ უყურებს. ივიწყებენ, რომ გვარდიელები და ჯარისკაცები ერთი ოჯახიდან არიან, ამას რასაკვირველია მიმხვდარნი არიან, მაგრამ „მობალშევიკო—პოგრომშჩიკებს" წესრიგის დამცველი ნამდვილი ჯარისკაციც სძულს და მით უმეტეს გვარდიელი.

სურსათის საკითხი კვლავ იმავ უნუგეშო მდგომარეობაშია, მართალია მეგრელები სიმინდის მოცემას დაგვპირდენ და იქ უკვე გაიგზავნა მყიდველები, მაგრამ როდის და ან რამდენს მოგვაშველებენ ჯერ არ ვიცით. ვიცით მარტო ის, რომ თუ მეგრელებმა მცირე ხნით მაინც ჩაგვაპურეს, მაშინ იძულებული ვიქნებით ქალ-ბაღნიანათ ავიბარგოთ და ვისაც მჭადი აქვს, იმათ ვესტუმროთ და რომ მეგრელები სტუმართ-მოყვარენი არიან—ეს ყველამ იცის.

ამინდი გურიაში მშვენიერია, ზომიერი, არც დიდი სიცივე, არც შეუფერებელი სითბო, ყანებში მუშაობა უკვე გაჩაღდა, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყანებში მომუშავე ჯარის-კაცებს ბლომათ შეხვდებით. 9—10 თებერვალს გურიის საზოგადოებათა წარმომადგენლებს ქ. ოზურგეთში მიწის შესახებ თათბირი ჰქონდათ და გადაწყდა, ვისაც 20 ქცევაზე მეტი აქვს ჩამოერთვას და სოფლის კომიტეტებს გადაეცეს. დროებით მიწის ბაჟათ დააწესეს ქცევაზე (1-ლ ხარისხზე) 3 მან. საბედნიეროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ გურული მემამულეები საქმეს არ აშწვავებენ და აგრარულ ნიადაგზე ჯერ არავითარი უსიამოვნება არ მომხდარა და ღრმათ ვართ დარწმუნებული, არც შემდეგში მოხდება, რადგან გურიაში ისეთი შეუგნებელი და უვიცი არავინ არის, რომელსაც სჯეროდეს, რომ ის საზოგადოებას გაუმკლავდება და ცხოვრებას თავის გემოზე მოაწყობს.

ქუთაისის გასაჭირის ამბავი მოვიდა თუ არა გურიაში ყველა სამხედრო რაიონებიდან მსწრაფლ გაეშურენ გვარდიელები. აღსანიშნავია, რომ წასვლა იმაზე მეტმა მოისურვა, რაც მოთხოვნილი იყო.

ამ დღეებში ბალშევიკური აგიტაციის ორი მსხვერპლი ჩამოასვენეს ქუთაისიდან, ორივე ჯარისკაცი. ანტ. ესტ. ტრაპაიძე და ჭელიძე. პირველი საიმედო ახალგაზრდა იყო, პარტიის ცნობილი წევრის შვილი. როგორც ამბობენ ის მოუკლავთ „პაგრომშჩიკ" ჯარისკაცებს.

სადგურ ქობულეთში ვიღაც უცნობმა ჯარისკაცმა არაყით მთვრალმა მოჰკლა გვარდიელი მუშა მკალობლიშვილი, რომელიც ამხანაგებმა საკუთარი ვაგონით და გვარდიელთა თანხლებით წაასვენეს ბათუმიდან საჯახოში. მკვლელი მიიმალა, მაგრამ ხალხის რისხვას ვერ დაემალება.

გურიის რევოლ. კომიტეტმა დაადგინა, არ მიეცეს ნება ბალშევიკ ალ. ერქომაიშვილს გურიაში წაიკითხოს ლექციები, რადგან ის თავისი უტყუარი დემაგოგიით ხელს უწყობს ანარქიას. კომიტეტის გადაწყვეტილება მოსაწონია, რადგან გურია ერთათ ერთი დაწყნარებული კუთხეა და მისი არევ-დარევა არავის არ უნდა შერჩეს.

ოსმან-ეფენდი.

## პროვინცია

ბათუმი. ოსმალეთის ფრონტის დაცალიერებამ (უმთავრესად ტრაპიზონის დაცლამ) ბათუმი ჭრელი ხალხით აავსო. ვინ გინდა, რომ დღეს ბათუმში არ იყოს: ეპოლეტ ახდილი გენერალ-აფიცრები, ჯარისკაცები, მატროსები, ბედის მაძებარი სპეკულიანტი მოიჯარადრენი, ინჟინერები, უსახლ-კარო ბერძნები, სომხები და სხვები. ქალაქი სავსეა ლტოლვილებით. მოელიან ეშელონს თფილისიდან. როგორც მოგახსენებენ აღმოსავლეთიდან მომავალ ჯარისკაცებს ბალშევიკებმა შთააგონეს თქვენ ამიერ-კავკასიის კომისარიატი შავ ზღვით არ გაგზავნის, რომ განჯის გზაზე თათრებმა ამოგწყვიტოს ყველაო, თორემ ტრანსპორტი არისო, გამოგზავნილ დელეგატებს მატროსებმა უპასუხეს, 15—20 დღეს მაინც უნდა იცადოთო. ტრანსპორტი თუ გინდ იყოს, მატროსები ამჯობინებენ უმწეო ბერძნებს ახდევინონ ტრაპიზონიდან ბათუმამდე 1000 მანეთი სულზე, ვიდრე ამხანაგები ან სამხედრო ქონება გადაიყვანონ-გადაიტანონ.

ბათუმში ღამით განუწყვეტელი სროლაა, მაგრამ კვლით არავის კლავენ. ზემო აჭარიდან ცუდი ხმები მოდის, ამბობენ შტაბი ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილთან აქვთ და ემზადებიან ბათუმზე თავდასასხმელადო. დაბეჯითებით ვიცით, რომ ბეგების თავხედობას არ თანაუგრძნობს ქვემო აჭარლები და ქობულეთლები. აჭარის სკოლებში სწავლა ყველგან შეწყვეტილია. ყოროლის თავში საქ. საზ. სკოლის მასწავლებლებს ღამით თავს დაესხნენ და გაძარცვეს, მცხოვრებლები (მუსლიმანები) ამან შეაშფოთა და ავაზაკებს თვით ეძებენ.

ზარბაზნებს (ბათუმში) იცავენ გვარდიელები, რომლებიც შესდგება ადგილობრივ მუშებისა, ინტელიგენტებისა, მოსწავლეებისა და გურიიდან მოსულებიდან. არის ცხენოსანთა რაზმი სტუდენტებისაგან შემდგარი. ერთი სიტყვით ბათუმელი ამხანაგები და შეძლებისა და გვარათ სხვა პარტიის წევრებიც მედგრად შრომობენ. არ მგონი რომელიმე ადგილას სოც.-დემოკრატები იმდენ ტანჯვა-წამებას განიცდიდენ, რამდენსაც აქ.

ოსმან-ეფენდი.

დ. ჩოხატაური. 13 თებერვალს დ. ჩოხატაურში თფილისიდან მოასვენეს ალექსანდრე მოკლული ხარიტონ სიხარულიძე დაასვენეს რა დაბის შუაგულში, იქაურმა ბალშევიკებმა იმას მაგიერ, რომ გამწარებული მშობლებისთვის ნუგეში ეცათ და წყევლა კრულვით მოეხსენებიათ ის ანარქია, რომლის მსხვერპლიც წინ ედოთ, მოჰყვენ მიცვალებულით ვაჭრობას. ამ ვაჟბატონებს ისე დაეკარგათ სირცხვილი, რომ ხალასი სიცრუის ლაპარაკითაც არ წითლდებოდენ.

მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ შეგნებული ბალშევიკიც და არა ფრაქციული ჟინიანობით შეშლილი დამეთანხმება იმაში, რომ იმათი გაზეთები ამ უკანასკნელ ხანებში გადიქცენ ნამდვილ დარბევა-აწიოკების მოსაწოდებელ ფურცლებათ. რაღა გასაკვირია, თუ დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი ამიერ-კავკასიის მთავრობა, მიიღებს ზომებს ამა თუ იმ უპასუხისმგებლო პირების ასალაგმავათ.

ეს ვაჟბატონები გურიაშიც შეუდგენ დემაგოგობას და წითელ რაზმელები და კარგათ ცნობილი მებრძოლნი თავისუფლებისათვის ხულიგნებათ მონათლეს. სავალალოა ის, რომ ასე თავისუფლად გრძნობს თავს ერთი ისეთი პირიც, რომელსაც სპირტის გასაღების მეტი არაფერი გაუკეთებია თავის დღეში. ასეთი პირები იფარებენ ბალშევიზმის პირ-ბადეს და თავიანთ ბნელ საქმეებს აწარმოებენ. ჩოხატაურში იმ დღეს იყო ჩამოსული ერთი უცხო ამხანაგი, რომელსაც როგორც იყო ნება დართეს ამ ვაჟბატონებმა, რომ გაეზიარებინა მშობლების და ხალხის მწუხარება. შემთხვევით მოსულმა მოკლე და მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა სრულიად ობიექტიური შინაარსის. აღნიშნა სამწუხარო, რომ ზოგიერთ პირებს განუზრახავს მიცვალებულით ვაჭრობა თავისი ფრაქციული ჟინიანობის მოსაკლავათ და მიმართა მიცვალებულს შემდეგი სიტყვებით: „დევ, მე ჩავწვები შენს მაგიერ მაგ კუბოში, მხოლოდ ადექი შენ, მაგრამ ადექი არა იმიტომ, რომ გაახარო შენი დამწუხრებული მშობლები, არამედ იმიტომ, რომ შეჰყვირო შენზე ვითომც გულმტკივან ამხანაგ ბალშევიკებს, რომ ისინი სტყუიან, რომ ისინი ბედვენ შენი ცხედრის წინაშეც იცრუონ და მით ხელი შეუწყონ იმ ანარქიის გაძლიერებას, რომელმაც შენ დღეს წაგამწარა ყოველი თავისუფლება"-ო. ამის შემდეგ მან აღუთქვა დამსწრე საზოგადოებას, რომ შეგნებული დემოკრატია მიიღებს ზომებს, რომ დროზე იქნეს შეჩერებული ანარქია, რომ მით ჩვენ კიდევ არ გავხდეთ მოწამე ძმათა სისხლის ღვრისო. ბალშევიკებს არაფრად ეპაშნიკათ ამ უცხო პირის ასეთი გამოსვლა.

დამსწრე.

მოლითი. აქ შესდგა მოხალისე რევოლიუციონური რაზმი ადგ. სოც. დემ. მუშათა პარტიის თავმჯდომარე ალექსანდრე ლიზბრაძის ხელმძღვანელობით. რაზმმა აირჩია კომიტეტი სამი კაცისაგან, რომელშიაც შედიან: ალ. ლიზრაძე, ნ. ცხადაძე (სოც. დემ. მენშ.) და ვასო ყიფიანი (სოც. ფედ.), რომლებსაც ევალებათ გააძლიერონ მოხალისეთა რიცხვი, აღძრან შუამდგომლობა ბელ. რაიონის თავდაცვის კომიტეტში, რათა მან გამოგზავნოს გამოცდილი ხელმძღვანელი და შეასწავლოს რაზმს სამხედრო წესრიგი. რაზმს მიზნათ აქვს დასახული ებრძოლოს როგორც შიგნით ისე გარეთ ყოველ გვარ რეაქც. პროვოკატ. ე მასთან ყოველგვარი ზომა მიიღოს ქურდ-ბაცაცების და ყაჩაღების წინააღმდეგ. მათვე ევალებათ თვალყური ადევნონ ყოველგვარ უწესოებას, როგორიც არის თოფის წარა მარა სროლა, სიმთვრალე და სხვა. კომიტეტი სისტემატიურად მუშაობს.

მოხალისე.

ს. ნახახულევი (ზონის რაიონი). წარსულ წლის მაისში მოწინავე ამხანაგების შემწეობით აქ დაარსდა სამკითხველო ჩვენი სასიქადულო მებრძოლის კ. ჩხეიძის სახელობაზე. ადგილობრივი ახალგაზრდობა დარწმუნებული იყო, რომ სამკითხველო გაამართლებდა ყოველივე იმედებს და, სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ პირველათ მართლაც ჩინებულათ მიდიოდა საქმე. ორიოდე თვის განმავლობაში დღიდან დაარსებისა ორი წარმოდგენაც გაიმართა იმავე სამკითხველოს სასარგებლოთ და მოწოდებებიც გაეგზავნა ქალაქებში მცხოვრებ ამხანაგებს ერთდროული დახმარების შესაკრებათ. ერთი სიტყვით, ეტყობოდა, რომ საქმეს სათავეში ედგა ნამდვილი მუშაკი. სხვადასხვა მიზეზების გამო ყოფილი გამგე იძულებული შეიქნა სოფლიდან წასულიყო და ამისათვის ყოველივე ანგარიშები გადაეცა ამხ. გ. უგულავას და საზოგადოებაც დარწმუნებული იყო, რომ ახალი გამგე, როგორც ადგილობრივი მასწავლებელი, რიგიანათ უპატრონებდა სამკითხველოს. მაგრამ, რამდენათ დრო გადიოდა, იმდენათ გვეკარგებოდა იმედი, რადგანაც ვხედავდით, რომ სამკითხველო თანდათან ჰკარგავდა თავის ნამდვილ სახეს. ბოლოს იქამდინაც მივიდა საქმე, რომ გაზეთებიც აღარ მოდიოდა თავის დროზე და თუ მოდიოდა ორი-სამი დღის განმავლობაში გამგე ჯიბით ატარებდა ან სახლში მიჰქონდა და მერმე მოიტანდა სამკითხველოში. მაგალითად, 26 დეკემბერს სამკითხველოს კარებს მივადექი და როცა შიგ შევედი მაგიდაზე დავინახე ერთადერთი გაზეთი („სახალხო საქმე") და ისიც 16 ნოემბრის, არც სკამები მოიპოვებოდა სამკითხველოში, გამოვბრუნდი და შევხვდი იქაურ ამხანაგებს, იმათი დანახვა ძლიერ გამიხარდა, რადგან მინდოდა სამკითხველოს ავ-კარგი გამეგო. მათ კი მითხრეს: ალექსანდრე რომ წავიდა (ალექსანდრე, ყოფილი გამგეს სახელი არის) იმის მერე აღარც გაზეთები მოდის თავის დროზე და არც არავინ არის ნამდვილი პატრონიო. ამისათვის მივმართე სარევიზიო კომისიის წევრებს, და ვთხოვე მათ რევიზია მოეხდინათ და ახალი გამგეობა აერჩიათ.

როგორც გადმომცეს, სარევიზიო კომისიის ზევრები შეკრებილიყვნენ 6 იანვარს და მოითხოვდენ წლიური ანგარიშების გაცნობას, მაგრამ შემოსავალ-გასავალიც არ ყოფილიყო სრულათ ჩატანილი საანგარიშო წიგნებში. არც წევრების რაოდენობა ყოფილიყო გამორკვეული და თუ არ ვცდები, წევრები მგონი აღარც არიან. ამისთვის საჭიროთ მიმაჩნია შევეკითხო ამხ. გამგეს: შეუძლია თუ არა გაუწიოს სამკითხველოს ნამდვილი ხელმძღვანელობა და არა მამინაცვლობა და თუ ბევრი საქმეების გამო დრო არ აქვს თვალყური ადევნოს სამკითხველოს; იმ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა თანამდებობიდან გადამდგარიყო და გადაეცა ისეთი ამხანაგისათვის, რომელიც შრომას არ დაიზარებს, თორემ გვიან იქნება, როცა ხალხი გვეტყვის —არ გვსურს ასეთი მოღვაწე და გადმობრძანდეს სავარძელიდანო.

სოფლელი.

## წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" № 26-ში მოთავსებულია ვინმე „დათიკო ლომინაურელის" წერილი, რომელიც სოფელ ორაგვეს ეხება. ამ წერილში სხვათა შორის ნათქვამია, რომ „საბჭომ მასწავლებლობიდგან გადააყენა მღვდელი ს. კვაჭაძე და მის მაგიერ დანიშნეს ალფესი გ. კვაჭაძე, მაგრამ ალფესიმ უარი განაცხადა, რადგან მღვდელს მხარს უჭერდა. შემდეგ, როცა დაამტკიცა დირექტორმა და უნდა დაეწყო მეცადინეობა, ხელმეორეთ უარი განაცხადა. მასწავლებელ კვაჭაძის ასეთი საქციელი დასაგმობია"-ო. ეს სინამდვილესთან შორს არის. მე თუ უარი განვაცხადე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მღვდელს მხარს ვუჭერდი. თუ ვიკისრე და შემდეგ უარი ვსთქვი, ეს იმისთვის, რომ საბჭომ დამპირდა პირველად ბინა და ინვენტარი, ხოლო შემდეგ საზოგადოების ნაწილმა საბჭოს წინააღმდეგ ასეთ დადგენილებისათვის მკაცრათ გაილაშქრა, რის შემდეგ იძულებული შევიქენი მე უარი მეთქვა ჩემს თანამდებობაზე

ალფესი გ. კვაჭაძე.


## სახალხო სახლი

სახალხო სახლ. არსებულ ქარ. წარმოდ. მმართველი წრე. ოთხშაბათს 21 თებერვალს 1918 წ წარმოდგენილი იქნება

## მეზობლები

დრამა 4 მოქმ. ტ. რამიშვილისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი არჯევანიძე, ელ. ბარათაშვილი, ნ. ნინონი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ან. ქილარჯიშვილი; ბ ნნი ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ალ. მეტრეველი, სალაყაია, ა. თავდგირიძე, ნ. ჭანკვეტაძე და მ. ჯაბაური.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ადგილების ფასი 1 მ. 20-დან 25 კ-დე.

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათამდე.

წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. ბავშვების შეშვება თეატრში და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.

შემდეგი წარმოდგენა 27 თებერვალს.

რეჟისორი კ შათირიშვილი.

რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

(2—2) ქ. ს. წარ. წრის ადმინისტრაცია.

ექიმი ქალი

## რ. ბ. შიოლო-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

## გ. ბ. მეჰრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ. —7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## ჰეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

## ექიმი კ. ი. ვაჩნაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქვენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი

## დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული კალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე) ტელ. 14—37.

ექიმი

## გ. დოხნინი

ყოფილ იახხისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო.

შიხიკოვის აფთიაქის გვერდით ვაგზლის ქუჩაზე

## იღებენ ექიმები-სპეციალისტები:

ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.

ექ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.

ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10,5—11,5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ექ. კლდიაშვილი გლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.

რჩევა ერთი მანეთი, აპერაცია შეთანხმებით.

1918 წ. იანვრის 10 თფილისში გამოვიდა ჟურნალი

## „ახალი კვალი"

ორგანო ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.

თფილისის ორგანიზაციის კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს დანარჩენ ორგანიზაციებს საჩქაროდ შეგვატყობინონ: 1) რამდენი ცალის გავრცელება შეუძლიანთ; 2) თავისი, ან ორგანიზაციის აგენტის მისამართი; ეს ცნობები საჩქაროთ უნდა [illegible] გამოცემის საქმე არ შეფერხდეს. აგრეთვე [illegible] მისამართი: Тифлисъ. Вера Материальная ул. № 3. Михаилу Чачуа.

Во вторник 6 февраля вышел первый номер социал-демократической газеты

## „БОРЬБА"

В газетѣ принимают участие: А. Азатан, Воскада, Гальперин, Гешитейн, проф. Городенский Н. Жордания, И. Жордания, Ишков, Г. Коніев, Кремер, Козлов, Л. Натадзе, Н. Рамишвили, М. Смирнов, Трейман, А. Туманов, Усенская, Н. Цинцадзе, К. Чхеидзе, Д. Шарашидзе и др.

Подписка принимается в конторѣ газеты: пассаж Манташева (Дворцовая площадь, против штаба) а также въ Тифлисском комитетѣ Р. С.-Д. Р. П. (Головинский 12 во дворѣ) и во всѣх районных коллективах.

Подписная цѣна: 1 год—40 р., 6 мѣс.—24 р. и 1 мѣс.—4 р.